საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 179 (981) პარასკევი, 7 ოქტომბერი, 1994 წელი.

ფასი 100000 კუპონი

აქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

დასავლეთ საქართველოში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის — სახელმწიფო მინისტრის შესახებ

1993 წლის ოქტომბერში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს საგან ებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტი, ურთულესი პირობე ის მიუხედავად კომიტეტის ძალისხმევით ამოქმედდა სახელმწიფო მართველობისა და სამართალდამცავი ორგანოები, ალიკვეთა შეიარა ებული ბანდების თარეში, გაუმჯობესდა საერთო-კრიმინოგენული ვი არება, ადგილობრივი მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებულ ირთა მინიმალური სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები. სა ანგებო წესების შემოღებამ და კომიტეტის საქმიანობამ გაამართლა ანიშნულება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. დადებითად შეფასდეს დასავლეთ საქართველოს საგანგებო სი უაციების ზონის დროებითი კომიტეტის (თავმჯდომარე გ. ლომინაძე) იერ გაწეული საქმიანობა.

2. ეკონომიკის შემდგომი აღორძინებისა და მეურნეობრიობის ახალ რინციპებზე გადასვლის, მატერიალური რესურსების უკეთ გამოყენე ის, კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების უზ უნველსაყოფად და საერთო-რესპუბლიკური ინტერესებიდან გამომ ინარე, ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით:

ა) გაუქმდეს დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზო ს დროებითი კომიტეტი;

ბ) დაწესდეს დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო მეთაურის წმუნებულის თანამდებობა;

გ) სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე დაინიშნოს საქართველოს ხელმწიფოს მეთაურის რწმუნებულად;

დ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის — სახელ იფო მინისტრის სამოქმედო ტერიტორიებად განისაზღვროს ზუგდი ის, სენაკის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის, აბაშის, სტიის რაიონები და ქალაქი ფოთი.

3. დასავლეთ საქართველოში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წმუნებულის — სახელმწიფო მინისტრისა და მისი აპარატის საშტატო ითეულის დაფინანსება მოხდეს არსებულ ასიგნებათა ფარგლებში ესპუბლიკური მმართველობის აპარატის შემცირების ხარჯზე.

ე. შევარდნაძე.

ბილისი

ის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ეთაურსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი 1994 წლის 26 აგვისტოს წე ილისათვის, სადაც მაცნობთ საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობის ნგანუმის პროექტს და ითხოვთ ფედერალური მთავრობის მხარდა ერას საექსპორტო კრედიტების გარანტიის გაცემის საქმეში.

დიდი გულისყურითა და თანაგრძნობით ვადევნებ თვალყურს თქვენს ეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მოხარული ვარ, რომ პოლიტიკური თარება საგრძნობლად სტაბილური გახდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თქვენი ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის საფუძვლე ს შემდგომ განმტკიცებას.

ფედერალური მთავრობა შეძლებისდაგვარად კვლავაც მხარს დაუ ს თქვენს მიერ დაწყებული რეფორმების კურსს, ვიმედოვნებ, რომ ერთაშორისო სავალუტო ფონდთან და განვითარების საერთაშორი ბანკებთან თანამშრომლობა შედარებით სწრაფად წარმოაჩენს საქარ ელოს ეკონომიკის სტაბილიზაციის ახალ იმპულსებს, ამას ვუკავ ებ ასევე იმედს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება ორმხრივი ეკო მიკური ურთიერთობა საქართველოსა და გერმანიას შორის.

განვითარების ამ გზაზე ფედერალური მთავრობა მზად არის განიხი ს თქვენს მიერ მოხსენიებული მანგანუმის პროექტის ხელშეწყობის ლა შესაძლებლობა და ასევე მისი „ჰერმესის“ რისკის პოლიტიკა ქართველოს მიმართ. ვისურვებდი, რომ უახლოეს ხანში უფრო კონ ეტული გამხდარიყოს გერმანიის საწარმოთა ინტერესები საქართვე ოს მიმართ.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული თილი და მეგობრული ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განმ იცდება ეკონომიკისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შემ ომი გაფართოების საფუძველზე, კვლავაც დიდ წარმატებებს გისურ ბთ თქვენს მიერ დასახული გეგმების განხორციელების გზაზე.

მეგობრული სალმით
ჰელმუტ კოლი,
ფედერალური კანცლერი.

რმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.
ონი, 1994 წლის 21 სექტემბერი.

დუარდ შევარდნაძემ მიიღო ეხეთის ელჩი

6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სა ლმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩეხეთის რესპუბ იკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთსა და საქართვე ოში რუდოლფ სლანსკი. ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ჩე თის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის მოკითხვა და კეთილი სურვილები.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ონომიკურ პროცესებს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის პერს ქტივებს.

— განსაკუთრებით გვაინტერესებს საქართველოსა და რუსეთის ურ ერთობის მოგვარების საკითხი, ვინაიდან ეს ჩვენთვისაც უსაფრთხო ის მანიშნებელი იქნება, — განაცხადა ბატონმა რუდოლფ სლანსკიმ.

— რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პროცესებს, — აღნიშნა ხელმწიფოს მეთაურმა, — შეიმჩნევა სტაბილიზაციის ტენდენციები, უმჯობესდა კრიმინოგენული სიტუაცია, თითქმის ყველა უკანონო იარაღებული ფორმირება დაიშალა, დაიწყო ეკონომიკური რეფორ ბი, რომელსაც მოსახლეობა, უკეთესი მომავლის იმედით, გაგებით იდება. ქვეყანას კვლავ მძიმე ტვირთად აწევს აფხაზეთის პრობლემა, ვნილები ჯერ კიდევ ვერ დაბრუნებულან თავიანთ საცხოვრებელ გილებში. იმის მიუხედავად, რომ სწორედ ჩეხეთის რესპუბლიკის არდაჭერით გაეროს უშიშროების საბჭომ მრავალი რეზოლუცია მი ო, ეს პროცესი მაინც ჭიანურდება. ამ ეტაპზე ბევრი რამ არის და კიდებული რუსეთზე. თუ ეს არაორდინარული სამშვიდობო მისია ქართველოში პოზიტიურად დამთავრდება, მაშინ რუსეთს საშუალე ექნება ამავე სისტემით სხვა რეგიონებშიც იმოქმედოს.

დასასრულ, მხარეებმა გამოთქვეს საქართველოსა და ჩეხეთს შო ს უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა და შემდგომი განვი რების სურვილი.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია კიევს გაემგზავრა

უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას მიწვევით ისტი დამპყრობლებისაგან უკრაინის განთავისუფლების 50 წლის ვისადმი მიძღვნილ ზეიმზე 1994 წლის 6 ოქტომბერს კიევს გაემგ ვრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საქართველოს რესპუბ კის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ათბირი კონფერენციის წინ

6 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ ვარდნაძესთან შედგა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საბჭოს ვართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა კავშირის თბილისის სა აქო ორგანიზაციის კონფერენციის გამართვისათვის საჭირო ღონისძიებების შემზადების საკითხებს.

აიმართა საქმიანი და კონკრეტული სჯა-ბაასი. გადაწყდა, კონფერენ ის მოწვევის თარიღი რამდენიმე დღით გადაიდოს.

ათბირის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შე არდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

ედუარდ შევარდნაძე:

„სწორი ნაბიჯი მსოფლიოს გაუმჯობესების გზაზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“

— ბატონო ედუარდ, მოსკოვში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკასთან რუსეთის მეგობრობის კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია. 4 ოქტომბერს გაიმართა ასოციაციის დამფუძნებელი კრება, რომლის სახელზეც თქვენ გულთბილი წერილი გაგზავნეთ. რას გვეტყოდით ასეთი მოვლენის მნიშვნელობის შესახებ?

„საქინფორმის“ კორესპონდენტის ამ კითხვის პასუხად სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თქვა:

— უწინარეს ყოვლისა, მინდა გულწრფელი მადლობა და მადლიერების სიტყვები ვუთხრა ამ შესანიშნავი, მეტად დროული, მნიშვნელოვანი და კეთილი საქმის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს. საქართველოს რესპუბლიკასთან რუსეთის მეგობრობის, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის ასოციაციის შექმნის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს, რადგან იგი მოწოდებულია დიდი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების დაახლოება-თანამშრომლობაში, რომლებსაც დიდი ხნის სულიერი ურთიერთობა აკავშირებს. ჩვენი კავშირურთიერთობანი ღრმად ფესვგადგმული ვითარდებოდა ორივე მხარის ინტერესებისათვის, ამ ურთიერთობათა განმტკიცების ორგანული მოთხოვნილება კი ხშირ სხვადასხვა დროს იგრძნობოდა — ჭირსა თუ ლხინში. ამასთან, ეს პროცესი საუკუნეთა მანძილზე ძლევამოსილ ხასიათს ატარებდა სულ სხვადასხვა, ზოგჯერ წინააღმდეგობების პირობებშიც.

დავადექით რა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, ჩვენ უწინარეს ყოვლისა, გამოვაცხადეთ ღია სახელმწიფოს შექმნის საჭიროების აუცილებლობა, რომელმაც საბოლოოდ ხელი აიღო მისთვის იზოლაციონიზმისა და პოლიტიკური კარჩაკეტულობის თავსმოხვეულ იდეებზე. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, მისი ოპტიმალური თანაარსებობისა და ახალი იმიჯის კალაპოტში ჩადაყვანა შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ჩვენ მზად ვიყავით ერთად გვეძებნა საერთო ინტერესები თანამშრომლობის ყველა სფეროში. ეს, ვფიქრობ, შევძელით. მჯერა, რომ იმ პრობლემებს, რომლებიც სათავეს იღებენ ბოლო წლების შფოთიან მოვლენებში, წარმატებით გადავჭრით, რასაც შეუძლია და კიდევაც უნდა შეუწყონ ხელი რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრიობის საუკეთესო, ინიციატივიანმა და არაგულგრილმა წარმომადგენლებმა. მოსკოვში ახალი ასოციაციის შექმნა მოწმობს კიდეც ასეთ მზადყოფნას — მსოფლიოს გაუმჯობესებისა და ჰარმონიზაციისათვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სწორედ ამიტომაც ესოდენ დიდად ვარ მოხარული, რომ ანალოგიური მიზნების ასეთივე ასოციაცია — რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობის, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საქართველოს ასოციაცია შეიქმნა თბილისშიც.

ურთიერთპატივისცემა, ტრადიციული ნდობა, რომლებითაც ეკიდებიან ერთმანეთს ჩვენი ხალხები და, მე ვიტყოდი, მათი შესანიშნავი წარმომადგენლების გამაერთიანებელი სიყვარულიც კი საფუძველს მაძლევენ გამოვთქვა რწმენა, რომ დაახლოების ტენდენციები გაიზრდება და გაძლიერდება პოსტკომუნისტური პერიოდისათვის დამახასიათებელი ნარჩენი მოვლენების მიუხედავად, რაც არსებობს ჩვენს, და არა მარტო ჩვენს, ქვეყნებში.

მჯერა, რომ ახალი საუკეთესო დროების დამკვიდრებას თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ ახალი ასოციაციის წევრებიც — რუსეთ-საქართველოს მეგობრობის გულწრფელი მზრუნველები.

იმსჯელეს კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარების შესახებ

გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებული სხდომა, სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბატონი ზურაბ ერქვანია.

მოისმინეს აჟარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის რევაზ კორძაიას ინფორმაცია კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარების შესახებ.

სხდომის მონაწილეებმა გაიზიარეს ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრება კოდორის ხეობის პერსპექტივის გამო სამშვიდობო ოპერაციის ამ ეტაპთან დაკავშირებით, რომ არ იქნეს დაშვებული შეცდომა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ამ მეტად მნიშვნელოვანი რეგიონის მიმართ. დაისახა ზამთრისთვის კოდორის ხეობის სურსათით, სხვა აუცილებელი საქონლით უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

განიხილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის კიმ ჯაჭვლიანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ზუგდიდის საკოორდინაციო შტაბის თავმჯდომარის იური ბიჭვაიას ანგარიშები სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობის პირობებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა შორის მუშაობის, ჰუმანიტარული დახმარების მიღებისა და განაწილების, დევნილთა შესახებ კანონით გათვალისწინებული შეღავათების რეალიზაციის საკითხები საერთო ეკონომიკური კრიზისისა და ფასების ლიბერალიზაციის პირობებში.

განიხილეს აგრეთვე აფხაზეთის პრობლემების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებსა და უწყებებში წარსადგენი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები.

თათბირმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესსამსახური.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმის წინ

საქართველოს ინტერესებისათვის გავერთიანდეთ

როგორც ცნობილია, 10 ოქტომბერს თბილისში მუშაობას შეუდგება ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმი. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი მასპინძლებთან ერთად ფორუმის მუშაობის დღეებში იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რით და როგორ შეძლებენ დაეხმარონ საქართველოს, ქართველ ერს, რათა ერთობლივად დასახონ შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გზები. სწორედ ახლა არის საჭირო ასეთი ფორუმის გამართვა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მრავალ საჭირბოროტო კითხვას გაეცეს პასუხი, შეიქმნას ერთიანი, მყარი ეროვნული პოზიცია ქვეყნის ცხოვრებაში ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე.

ამ დღეებში საქართველოს ეწვევა 300-ზე მეტი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე. როგორც ჩანს ჩვენი ცხოვრების კრიტიკულმა პერიოდმა არა თუ შეანელა, არამედ გაზარდა კიდეც ინტერესი ამ ფორუმისადმი. ამას მოწმობს არა მარტო მონაწილეთა მზარდი რიცხვი, არამედ ის წერილებიც, რომლებიც მოდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. კერძოდ, კონგრესის სახელზე მიღებულია ლევან ფალავას, რეჯებ ჟორდანიას ამაღელვებელი წერილები. ამ და მომავალი ფორუმის სხვა საინტერესო საკითხებზე ისაუბრა 4 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ყოველთა ქართველთა კონგრესის პრეზიდენტმა, ცნობილმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ ფორუმზე ჩამოდიან სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, ავსტრიიდან, შვეციიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან, სხვა ქვეყნებიდან. თბილისში ასევე ჩამოვლენ მონაწილენი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. ფორუმის დღეებში საქართველოს ეწვევიან უცხოელი ჟურნალისტები, ქართული ანსამბლები თურქეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მხატვრული კოლექტივები კორსიკიდან, რომლის სასიმღერო ფოლკლორი საოცრად უახლოვდება ქართულ ხალხურ ვოკალურ ხელოვნებას.

პირველი საერთაშორისო ფორუმი გაიხსნება 10 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. დაგეგმილია ლექციასემინარები, რომლებზეც ქართველი მეცნიერები წაიკითხავენ ლექციებს ქართული სახელმწიფოებრიობის, ცივილიზაციის, კულტურის შესახებ. საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან პროგრამაში წარმოდგენილია ჩვენი ისტორიისა და თანამედროვეობის მთელი სპექტრი. სტუმრები ნახავენ დოკუმენტურ ფილმებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე, შეიტყობენ სიმართლეს მათ შესახებ. მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა თბილისში ქართული ემიგრაციის მუზეუმის გახსნა. ერეკლეს მოედანზე საზეიმოდ გაიხსნება პარიზული შადრევანი რომელიც 3-4 წლის წინათ საფრანგეთიდან ჩამოიტანა პროფესორმა გურამ შარაძემ. სტუმრები ეწვევიან ბათუმს, ქუთაისს, კახეთის რეგიონს, ზუგდიდს, მოინახულებენ ლტოლვილებს. სვეტიცხოვლობის დღეს — 14 ოქტომბერს ფორუმის მონაწილენი შეიკრიბებიან ბაგინეთში, სადაც გაეცნობიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის 23-საუკუნოვან ისტორიას. თბილისში დაიდგმება ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს ძეგლი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე. გაიმართება ქართული პოეზიის საღამო.

მოეწყობა შეხვედრები მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, მეცნიერებთან, ქართველ ბიზნესმენებთან.

ფორუმის მონაწილენი შეხვდებიან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე სანდრო ნონეშვილი, პროფესორი გურამ შარაძე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გივი ზალდასტანიშვილი.

მერვე სვეტი

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის

6 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროთათბირის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ჰანს იორკ აიფი. როგორც სტუმარმა თქვა, ევროთათბირის მისიის მანდატი განახლდა 6 თვით. საუბარი შეეხო კონფლიქტის რეგიონებში, უწინარესად, ცხინვალის რეგიონში არსებულ პრობლემებს, მათი გადაწყვეტის გზებს. როგორც ბატონმა აიფმა აღნიშნა, ქართულ და ოსურ მხარეებს შორის კვლავ მრავალი წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ცხინვალში სერიოზულად ფიქრობენ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას და ეძებენ ქართულ მხარესთან დაახლოების გზებს. მისი ეს შეხედულება გაიზიარა სახელმწიფოს მეთაურმა, რომელმაც თქვა, რომ ამგვარი შანსი ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ყურადღება!

14 ოქტომბერს, პარასკევს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულის დროს, წირვის შემდეგ დაარსდება წმინდა სამების სახელობის ახალი საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი.

გთხოვთ დაესწროთ.

დაიღუპა ერთი მგზავრი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 5 ოქტომბერს, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ბენზინის გასამართ სადგურთან ჭერჭერობით დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლს მოთხოვეს მანქანის გაჩერება. მათ სურვილი არ შეუსრულეს და მანქანამ სვლა განაგრძო ხუდადოვის ქუჩით. ამან ბოროტმოქმედები გააღიზიანა, რასაც მოჰყვა ავტომატიდან მრავალჯერადი გასროლა. ავტომანქანაში მსხდომი მგზავრებიდან ერთი — გელა მამაიაშვილი ადგილზე დაიღუპა, ხოლო 8 მგზავრი მოთავსებული არიან დედაქალაქის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში.

საქმეს იძიებს ნაძალადევის რაიონის პროკურატურა.

გადასახადი... ხიდზე გადასვლისათვის

როგორც საქინფორმის კორესპონდენტი თამაზ როგავა იტყობინება, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიასთან არსებული მდინარე ენგურის გადასასვლელ ხიდს, რომელიც აკავშირებს გალის რაიონის სოფელ ოტობაიასთან, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან ერთად აკონტროლებს ეგრეთ წოდებული აფხაზური საგადასახადო მილიცია. იგი ხიდზე გადამსვლელი თითოეული მოქალაქისაგან ითხოვს ათას რუსულ რუბლს, ხოლო რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები მკაცრად ითხოვენ მოქალაქის პასპორტში აფხაზეთის ახლანდელი ადმინისტრაციის ჩანაწერებს.

ანონსი

იმედია, დსთ-ს სამშვიდობო ძალები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში. ჩემი მთავრობის მტკიცე პოზიციაა ის, რომ ეს კონფლიქტი შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით. — ეს განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალექსანდრე ჩიკვაიძემ** სამშაბათს. გაეროს გენერალური ასამბლეის 49-ე სესიაზე. მისი გამოსვლის სრულ ტექსტს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

დღესაც უნდა გაეწიოს ანგარიში

დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის (1844-1928) პუბლიცისტიკაში ყურადღებას იქცევს ორი საკითხი, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. მხედველობაში გვაქვს ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები საქართველოს შავი ზღვისპირეთზე ამიერკავკასიის პირველხარისხოვანი სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქის შერჩევისა და იმ დროისათვის ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხები.

აღნიშნულ საკითხებზე ნიკო ნიკოლაძემ 1878 წელს გაზეთ „ობზორში“ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა. მართალია, ავტორი ამ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისას რუსეთის ინტერესებიდან გამოდის და მისი მოსაზრების ყველა ასპექტი რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო მიზნებთან არის დაკავშირებული, მაგრამ აქცენტების გარკვეული შეცვლით ნიკო ნიკოლაძის ეს მოსაზრებანი დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებისათვის დღესაც აქტუალურ ჟღერადობას იძენს.

პრესაში, როცა ნიკო ნიკოლაძე ამ საკითხების განხილვას იწყებს, ბათუმი ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო, მაგრამ ცხადად ჩანს მისი რუსეთისათვის გადაცემის პერსპექტივა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის შესაბამის წრეებში მწიფდება აზრი იმის თაობაზე თუ რომელი ქალაქი გახდეს ამიერკავკასიის უპირველესი სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქი — ბათუმი, ფოთი თუ სოხუმი და ნიკო ნიკოლაძის წერილებიც ამ აზრისადმი უშუალო რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე წერს, რომ „...მომავალი ნავსადგურებისა და ქალაქების შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, პირად თვალსაზრისს, სიმპათიებსა და ანტიპათიებს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ იმ ძირითადი აზრის სერიოზულად განხილვას, რომელიც ყველა მოსაზრებასთან ერთად, საფუძვლად უნდა დაედოს შავი ზღვის სანაპიროების განვითარებას“ („ბათუმი, ფოთი, სოხუმი“, ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. V. 1966, გვ. 388).

ნიკო ნიკოლაძე შენიშნავს, რომ პირველხარისხოვანი ნავსადგურების მშენებლობის საკითხის გადაწყვეტაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა — მთავრობა იქნება თუ საზოგადოებრივი ძალები. „...ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიების განხორციელების დროს საჭიროა ერთი საერთო გეგმის შედგენა, ერთი ძირითადი აზრის გამომუშავება ნაცვლად იმ კერძო წამოწყებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აქამდე“ (იქვე).

შავი ზღვის სანაპიროზე პირველხარისხოვანი სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქის არჩევის საკითხის განხილვისას, ნიკო ნიკოლაძე ძირითადად ორ ქალაქს ეხება — ბათუმს და ფოთს, იშვიათად სოხუმს. იგი აანალიზებს ამ ორი მთავარი ქალაქ-კანდიდატურის დადებითსა და უარყოფით მხარეებს და ბოლოს მუდამ უპირატესობას ფოთს ანიჭებს.

ბათუმზე მსჯელობისას ნიკო ნიკოლაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთელი შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო სწორედ ამ ქალაქს აქვს. ბათუმის ბუნებრივი გარემო და პირობები საზღვაო ნავსადგურისათვის ნიკო ნიკოლაძეს იდეალურად მიაჩნია. მაგრამ მისივე აზრით, მხოლოდ ბუნებრივი პირობებით, მხოლოდ „ბუნებრივ-ტოპოგრაფიული“ მიზეზით ახლად შემოერთებული ბათუმი შეუძლებელია მივიჩნიოთ ყველაზე პერსპექტიულ ნავსადგურად ამიერკავკასიაში.

თავის ამ მოსაზრებას ნიკო ნიკოლაძე ორი არგუმენტით ამაგრებს. პირველი ის, რომ ბათუმი სამტრედიიდან გაცილებით შორს არის, ვიდრე ფოთი და ამ მიმართულებით ჯერ რკინიგზაც არ არის გაყვანილი. ამიტომაც სამტრედიიდან ბათუმში ტვირთის საპალნით გადატანა გაცილებით ძვირი დაჯდება და იმოქმედებს სარეალიზაციო საქონლის თვითღირებულებაზე. ეს კი საკმაო პირობაა იმისათვის, რომ ბათუმზე, როგორც სავაჭრო ნავსადგურზე, თავი შევიკავოთ.

მეორე მიზეზად ნიკო ნიკოლაძე მეზობელი ქვეყნის ფაქტორს ასახელებს. კერძოდ, რადგანაც ბათუმი საზღვრისპირა ქალაქია და მისი დაკარგვით თურქეთმა დიდი დანაკლისი განიცადა, ამას იგი ადვილად ვერ შეეგუება და ამ მიმართებით მუდამ იქნება მასზე აგრესიის საფრთხე. ამიტომაც ნიკო ნიკოლაძეს უფრო მართებულად მიაჩნია ბათუმის, თავდაცვის გამაგრება, იქ ესკადრის ჩაყენება და ბათუმიდან ფოთამდე სიმაგრეების აგება, რაც ფოთის ნავსადგურის შეუფერხებელი მუშაობის გარანტი იქნება. შევნიშნავთ, რომ ეს აზრი ავტორს სხვა წერილებშიც აქვს გატარებული.

ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე უპირატესობას ანიჭებს ფოთს. მით უმეტეს, რომ სამტრედიიდან ბათუმამდე რკინიგზის გაყვანის შემთხვევაშიც, შორეულ პერსპექტივაშიც კი არ ესახება ბათუმი სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქად. ამ მოსაზრებას უნდა ადასტურებდეს მისი ერთი მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია წერილში — „ბათუმის შემოერთება“: „ჩვენ არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია მოსახლეობის განწყობილებასა და თურქეთის ხელისუფლების განზრახვაზე სწორი აზრის შესამუშავებლად“ (ტ. VI 1970, გვ. 216). აქვე ავტორი აკეთებს საყურადღებო შენიშვნას, რაც გარკვეული პროგრამაა იმისა, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ახალშემოერთებულებს და ამასთანავე ამ საკითხში მისი რეალისტური პოზიციის დადასტურებაც გახლავთ. კერძოდ, ნიკო ნიკოლაძის აზრით, ახლად შემოერთებულმა ხალხმა უნდა იგრძნოს ახალი წყობილების უკეთესობა, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რომ სახელმწიფო იცავს კანონიერებას, არავინ ფიქრობს მისი რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფას. ამის შემდეგ, ეს ხალხი კიდეც მიიღებს და კიდეც დააფასებს ახალ წყობილებას.

ფოთი, — ნიკო ნიკოლაძის აზრით — ისტორიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ამიერკავკასიის ყველაზე ხელსაყრელი ნავსადგურია. მართალია მას ბათუმივით ხელსაყრელი გარემო პირობები არ გააჩნია, მაგრამ დღევანდელი საინჟინრო ხელოვნების გათვალისწინებით, ეს ფაქტორი დაბრკოლებად ვერ ჩაითვლებაო, დაასკვნის ნიკო ნიკოლაძე. ფოთის სასარგებლოდ უპირველესად მიჩნეულია რკინიგზის ფაქტორი, რაც უკვე გაყვანილია და ამავე დროს უმოკლესი გზაა ზღვაზე გასასვლელად.

თუ დღევანდელი პოზიციიდან შევხედავთ ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც იგი წინააღმდეგი იყო ბათუმის უპირველეს სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქად შერჩევისა, იმ დროისათვის საფუძველს მოკლებული არ არის. მართლაცდა მეზობელი ქვეყანა ძნელად შეეგუებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის — ბათუმის დაკარგვას და ხელსაყრელ შემთხვევაში შეეცდებოდა მის დაბრუნებას. მომდევნო ისტორიამ (1918-1921 წლები) ნიკო ნიკოლაძის ეს შიში დაადასტურა.

მეორე საკითხი ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას ეხება. ნიკო ნიკოლაძის აზრით, ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებით გზა გაეხსნება კონტრაბანდას და ჩვენს მხარეში უცხოური საქონელი გაბატონდება. „ამიტომ ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება, აღადგენს ინგლისის ბატონობას ჩვენს მხარეში, ე. ი. გააქარწყლებს ყველა იმ ხელსაყრელ შედეგებს, რაც რუსეთის ვაჭრობამ მოიპოვა მთავრობის მიერ ნასხნობის შექმნისათვის გაღებული თანხებისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე რკინიგზის გაყვანის გზით“ („ბათუმის საკითხისათვის“, ტ. VI, გვ. 52).

მეორე მხრივ კი, ეს ინგლისური საქონელი, რომელიც ბათუმის პორტო-ფრანკოს წყალობით ჩვენში გაბატონდება, ბათუმის, ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის გზით სპარსეთის ჩრდილოეთ რაიონებში შეაღწევს და იქ რუსეთს ბაზარს წაართმევს.

როგორც ნიკო ნიკოლაძე შენიშნავს, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამ საკითხით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე ლორდი ბიკონსფილდი (1804-1881. 1868, 1874-80 წლებში ინგლისის პრემიერ-მინისტრი). მას ნიკო ნიკოლაძე რუსეთის დაუძინებელ მტრად თვლის, რომელსაც სურს, რომ ბათუმი თურქეთს დარჩეს, უკიდურეს შემთხვევაში აქ გამოცხადდეს პორტო-ფრანკო, რითაც რუსეთი მისგან სარგებელს ვერ მიიღებს, „ამიტომ ბათუმი არც თურქეთს უნდა ეკუთვნოდეს, არც თავისუფალი ქალაქი იყოს და არც პორტო-ფრანკო“. („შავი ზღვის მნიშვნელობა რუსეთისათვის და ბათუმის ფლობისა — შავი ზღვისათვის“, ტ. VI, გვ. 66).

1878 წლის 18 ივნისს, ბერლინის კონგრესზე ბათუმი საბოლოოდ დაუმტკიცეს რუსეთს და ამასთან, აქ პორტო-ფრანკო იქნა გამოცხადებული. ნიკო ნიკოლაძე მისთვის მიუღებელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. იგი მაინც ძველ პოზიციაზე რჩება და ამ ფაქტში ვერ ხედავს რაიმე სასიკეთოს, ვერ ხედავს იმის პერსპექტივასაც, რომ ამით ბათუმი გადაიქცევა მნიშვნელოვან სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქად შავ ზღვაზე. ამის მიზეზად კი მიაჩნია ბათუმის მახლობელი ტერიტორიების სიღარიბე და რკინიგზის უქონლობა. როცა სამტრედიიდან ბათუმამდე რკინიგზა გავა, მაშინ ფოთის ნავსადგურის მშენებლობაც დამთავრებული იქნება და სიახლოვის გამო ხალხი მაინც ფოთს მიაწყდებაო. ამასთანავე, რახან ბათუმში პორტო-ფრანკო გამოცხადდა, ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ საჭიროა ქალაქის კარგად შემოღობვა და მისი საზღვრების მტკიცედ გაკონტროლება, რათა გზა გადაეღობოს კონტრაბანდას. წერილში, რომელიც ბათუმის შემოერთებას ეხება, ნიკო ნიკოლაძე კვლავ ყურადღებას ამახვილებს ბათუმზე, როგორც არა სავაჭრო-სანავსადგურო, არამედ როგორც სამხედრო-სტრატეგიულ ქალაქზე.

შევნიშნავთ, რომ პორტო-ფრანკომ ბათუმში რვა წელიწადს იარსება (1886 წლამდე) და მიუხედავად გარკვეული სიკეთეების მოტანისა, ეს ფაქტი საქართველოსათვის დადებით მოვლენად არ შეფასებულა. ამ აზრისა იყო ილია ჭავჭავაძე. ისტორიის მანძილზე ბათუმი კიდევ ერთხელ, 1920 წლის 24 თებერვალს ლონდონის კონფერენციაზე გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (უშედეგოდ). ამ აქტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ქართველმა საზოგადოებრიობამ, კერძოდ, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. 1920 წლის 19 მარტს ამ კომიტეტმა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით ბათუმში გამართა მიტინგი და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, სადაც ეს აქტი მიჩნეული იქნა ძალადობის გამოხატულებად და ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთა ინტერესების გათელვად (დაწვრ. იხ. თეიმურაზ კომახიძე. „მემედ აბაშიძე“, ბათუმი, 1993, გვ. 27-28), ამის თაობაზე ასევე უარყოფითი რეაქცია გააკეთა საქართველოს სავაჭრო პალატამ.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ამ ორ საკითხზე ყურადღების შეჩერება განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ 115 წლის შემდეგ, მეტ-ნაკლებად ეს საკითხები კვლავ დადგა დღის წესრიგში. დღევანდელი სიტუაცია 1878 წელთან შედარებით დიდად განსხვავებულია და ვერც იმ ეპოქის საზომებით ვიხელმძღვანელებთ, რა ეპოქაშიც უხდებოდა მოღვაწეობა ნიკო ნიკოლაძეს. მაგრამ მის მოსაზრებებში არის მომენტები, რომლებსაც დღესაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. თუნდაც, ავიღოთ მაშინ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი, რითაც სარგებელი ვერ ნახა უზარმაზარმა იმპერიამ და რვა წლის შემდეგ გააუქმა კიდეც.

მიხეილ მახარაძე.

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 7

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

„იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით და საიჯარო ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულება.

2. „იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე გაფორმებული ქონების ყოველგვარი საიჯარო ხელშეკრულება ჩაითვალოს კანონიერად, თუ შეესაბამება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 7 აპრილის ბრძანებულებას „სსრ კავშირში არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 აპრილის დადგენილებას „სსრ კავშირში საარენდო ურთიერთობების ეკონომიკურ და საორგანიზაციო საფუძვლების შესახებ" და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 1989 წლის 23 ნოემბრის დადგენილებას „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ".

3. „იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე ქონების გამოსყიდვის უფლებით დადებულ ყველა კანონიერ საიჯარო ხელშეკრულებას გადააფორმებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, რომელიც ხდება მეიჯარის უფლება-მოვალეობათა უფლებამონაცვლე.

4. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც არასაცხოვრებელ ფართობზე იჯარის უფლება აღებული აქვთ აუქციონის ან კონკურსის წესით, შეუძლიათ უშუალოდ გამოისყიდონ აღნიშნული ფართობი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით, ქონების გაზრდილ ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობის დაფარვის შემდეგ.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის, ფინანსთა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებმა სახელმწიფო რეგულირებადი ფასების, ტარიფების, გადასახადების და ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით 20 დღის ვადაში შეიმუშაონ საიჯარო ქირის განსაზღვრის და გადახდის წესი და წარუდგინონ მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 20 სექტემბერი.

სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულება

1. ზოგადი ნაწილი

1. დებულება შემუშავებულია „იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს: სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესს, ვადებს, საიჯარო ქონების გამოსყიდვის პირობებს და გამოსყიდულ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის წესს.

2. სახელმწიფო ქონების (შემდგომში ქონების) იჯარით გაცემაში იგულისხმება ამ ქონების დროებითი ფასიანი სარგებლობის უფლებით (მათ შორის — გამოსყიდვის უფლებით) „იჯარის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტებისათვის გადაცემა.

3. აღნიშნული დებულება არ ვრცელდება მიწის, საოჯახო მოხმარების საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სპორტული ინვენტარის, საყოფაცხოვრებო და სარიტუალო დანიშნულების საგნების იჯარით გაცემაზე.

4. ქონების იჯარით გაცემის (მათ შორის — გამოსყიდვის უფლებით) ინიციატორები შეიძლება იყვნენ:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო;

საქართველოს რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, რომელთაც ქონება ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით;

საწარმოების, უწყებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების შრომითი კოლექტივების მიერ შექმნილი ამხანაგობები, საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

5. ქონების იჯარით გაცემის შესახებ, მათ შორის გამოსყიდვის უფლებით (არა უმეტეს 10 წლისა), გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი უფლებამოსილი ტერიტორიული ორგანო, იმ დარგობრივ სამინისტროსთან ან უწყებასთან შეთანხმებით, რომელსაც მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით გადაცემული აქვს ქონება ფლობისა და სარგებლობის უფლებით.

6. მთლიანი ქონებრივი კომპლექსის შემადგენელი ნაწილის იჯარით გაცემის შესახებ (გამოსყიდვის უფლების გარეშე არა უმეტეს 5 წლისა) გადაწყვეტილებას იღებს ორგანო, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით გადაცემული აქვს ქონება ფლობისა და სარგებლობის უფლებით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით.

7. საიჯარო ხელშეკრულების ვადის შეწყვეტა ან მისი გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში — სასამართლოს გადაწყვეტილებით ან იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარემ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გამოისყიდა იჯარით აღებული ქონება.

8. არ დაიშვება იმ სახელმწიფო საწარმოთა ან მათი ქონების ნაწილის იჯარით გაცემა (მათ შორის — გამოსყიდვის უფლებით), რომლებიც შეტანილია რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, ან სავალდებულო წესით ექვემდებარება სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას.

2. ქონების იჯარით გაცემა

1. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (მათ შორის უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) ქონება იჯარით (მათ შორის — გამოსყიდვის უფლებით) გადაეცემათ აუქციონის ან კონკურსის წესით.

2. სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოთათვის, მეიჯარის და საფინანსო ორგანოს წარმომადგენლებისგან ერთი წლის ვადით ქმნის განცხადებების განმხილველ კომისიას 5-7 წევრის შემადგენლობით.

3. კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს ქონების იჯარით (მათ შორის — გამოსყიდვის უფლებით) გაცემის ფორმა და საწყისი ფასი, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი უფლებამოსილი ტერიტორიული ორგანო.

3. ქონების იჯარით აღება იურიდიული პირის მიერ

1. კომისიის მიერ ქონების იჯარით გაცემის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იურიდიული პირი განცხადებით მიმართავს მეიჯარეს ქონების იჯარით აღების შესახებ.

2. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

იურიდიული პირის წესდება;

მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;

ცნობა მომსახურე ბანკიდან იურიდიული პირის გადახდისუნარიანობის შესახებ;

ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოთავსებულია დალუქულ კონვერტში (არაკომერციული კონკურსის შემთხვევაში).

3. იურიდიული პირის განცხადება თანდართული დოკუმენტებით მთლიანი ქონებრივი კომპლექსის შემადგენელი ნაწილის იჯარით გაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილებასთან ერთად შესათანხმებლად წარედგინება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

4. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი უფლებამოსილი ტერიტორიული ორგანო ვალდებულია დოკუმენტების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება ქონების იჯარით გაცემის შესახებ და ეს წერილობით აცნობოს განმცხადებელს.

5. ქონების იჯარით გაცემის შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაუსაბუთებელი უარის შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

4. ქონების იჯარით აღება ფიზიკურ პირთა მიერ

1. კომისიის მიერ ქონების ფიზიკურ პირზე იჯარით გაცემის შემთხვევაში ფიზიკური პირი, მათ შორის ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ ამ სახელმწიფო საწარმოში, განცხადებით მიმართავენ ქონების იჯარით გამცემ ორგანოს. განცხადებაში უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი, საპასპორტო რეკვიზიტები.

2. განცხადებას თან უნდა დაერთოს ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში (არაკომერციული კონკურსის შემთხვევაში).

3. ფიზიკურ პირზე ქონების იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

4. ფიზიკური პირები სახელმწიფო ქონების იჯარით მიღების შემთხვევაში ვალდებული არიან საიჯარო ხელშეკრულების დადგენილი წესით გაფორმების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დააფუძნონ და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ გატარდნენ სახელმწიფო რეგისტრაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კონკურსის სახეობანი გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების მიხედვით

1. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების მიხედვით არის ორგვარი კონკურსი: კომერციული კონკურსი და არაკომერციული (ბიზნეს-გეგმის) კონკურსი.

2. კომერციული კონკურსი, რომლის გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა (ჩაწერილი უნდა იყოს განცხადებაში კონკრეტული თანხა როგორც ციფრებით, ისე სიტყვიერად).

3. არაკომერციულია კონკურსი, რომლის გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საუკეთესო ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა.

4. კონკურსის პირობებს შეიძლება განეკუთვნებოდეს:

იჯარით გასაცემი ობიექტის პროფილის შენარჩუნება;

ორ წლამდე ვადით სოციალური გარანტიების ან სამუშაო ადგილების მთლიანად ან განსაზღვრული პროცენტით შენარჩუნება;

იჯარით გასაცემი ობიექტის მიმართ გარკვეული მოქმედების განსაზღვრა;

განსაკუთრებულ შემთხვევაში — სხვა პირობები, მეიჯარის ინტერესებიდან გამომდინარე.

6. განცხადებების განმხილველი კომისია

1. განცხადებების განმხილველი კომისია:

ორგანიზაციას უწევს იჯარით გასაცემი ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას;

იღებს და რეგისტრაციაში ატარებს განცხადებებს;

წერილობით ატყობინებს განმცხადებელს მიენიჭა თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება.

2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

3. სადავო საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა უმრავლესობით.

4. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით და ხელს აწერს [illegible] ულ წევრს უფლება აქვს წერილობითი [illegible] ებული აზრი, რომელიც სავალდებუ- [illegible]

7. კონკურსის გამოცხადება

1. განცხადებების განმხილველი კომისია მიღებული მასალების საფუძველზე ადგენს საინფორმაციო ცნობას კონკურსით იჯარით გასაცემი ქონების შესახებ და უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მის გამოქვეყნებას კონკურსის ჩატარებამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

საინფორმაციო ცნობაში მითითებული უნდა იყოს:

მეიჯარის დასახელება;

კონკურსის პირობები და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები;

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა;

განცხადების მიღების საბოლოო ვადა;

საკონკურსო კომისიის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

კონკურსის ადგილი და დრო;

იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელება და მისამართი;

გასაცემი ობიექტით დაკავებული მიწის ფართობის ოდენობა;

გასაცემი ობიექტის ფინანსური მდგომარეობა.

2. კომისია საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საშუალებას აძლევს წინასწარ გაეცნოს იჯარით გასაცემ ობიექტს. მეიჯარე ვალდებულია შექმნას ობიექტის წინასწარ გასაცნობად საჭირო პირობები.

3. ქონების კონკურსის წესით იჯარით გაცემის შემთხვევაში ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა კომისიას უნდა წარუდგინონ: განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტები მე-3 მუხლის 1 და მე-2 და მე-4 მუხლის 1 და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

4. განმცხადებელი კონკურსში (აუქციონში) მონაწილეობის მისაღებად წინასწარ იხდის საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის არანაკლებ ორმაგი ოდენობის თანხას (ბე), რის შესახებაც დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება საკონკურსო (აუქციონის ჩამტარებელ) კომისიას სხდომის (აუქციონის) დაწყებისას.

5. განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე: დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განცხადება არ მიიღება.

6. განცხადების მიღება კომისიის მიერ რეგისტრირდება ზონარგაყრილ დავთარში და დასტურდება კონკურსის მონაწილის ხელმოწერით (თარიღისა და დროის აღნიშვნით), რის შემდეგ იგი იძენს კონკურსის მონაწილის სტატუსს.

7. კონკურსის (აუქციონის) მონაწილეს უფლება აქვს გამოითხოვოს განცხადება. ასეთ შემთხვევაში მას წინასწარ გადახდილი თანხა (ბე) არ დაუბრუნდება.

8. განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ:

განცხადება და ბიზნეს-გეგმა არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

ბიზნეს-გეგმა ვერ აკმაყოფილებს მეიჯარის მოთხოვნებს.

9. კონკურსის შესახებ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან მის დამთავრებამდე განმცხადებლებს ეკრძალებათ ინფორმაციის გაცვლა ან გავრცელება მათ მიერ საკონკურსო კომისიაში წარმოდგენილი წინადადებების შესახებ. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა კვალიფიცირდება კონკურსის წესების დარღვევად და იწვევს შედეგის ბათილობას.

8. საკონკურსო კომისიის შექმნა და მუშაობის წესი

1. ქონების იჯარით გაცემის მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (ან დარგობრივი სამინისტრო, თუ იჯარით გასაცემი ქონება მიეკუთვნება ამ დებულების 1 მუხლის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილ ობიექტებს), ცალკეული ობიექტების მიხედვით ქმნის 5-9 კაცისგან შემდგარ საკონკურსო ან აუქციონის ჩამტარებელ კომისიას კონკურსის და აუქციონის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

2. კომისიის თითოეულ წევრს ერთი ხმის უფლება აქვს. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი. გამარჯვებული ვლინდება კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

3. საკონკურსო კომისია იბარებს განცხადებების განმხილველი კომისიისაგან შემოსულ დოკუმენტაციას წერილობით და ატარებს რეგისტრაციაში.

4. განცხადებები განიხილება გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის შესაბამისად.

5. კომისია დადგენილ დღეს და საათზე ატარებს კომისიის სხდომას (აუქციონს) და ხსნის კონვერტებს, ადასტურებს ყველა აუცილებელი დოკუმენტის არსებობას, რაც აისახება სხდომის ოქმში.

6 კონვერტის გახსნას უნდა ესწრებოდეს კონკურსის მონაწილე იურიდიული პირის წარმომადგენელი ან ფიზიკური პირი, რომელიც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენს თუ განმცხადებელი ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფია.

7. კონკურსის შედეგების შეჯამებისას მონაწილის განცხადების დაფარვა ან გაუთვალისწინებლობა კომისიის წევრებს აკისრებს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით, ხოლო კონკურსის შედეგები ბათილად ითვლება.

8. მონაწილეთა განცხადებების (ბიზნეს-გეგმის) გაცნობის შემდეგ კომისიის თითოეული წევრი ადგენს წერილობით დასკვნას საკუთარი არჩევნის დასაბუთებით, თუ იმართება არაკომერციული ბიზნეს-გეგმის კონკურსი.

9. კონკურსის შედეგებს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე კონვერტის გახსნის დღეს, კომისიის წევრთა დასკვნების საფუძველზე.

10. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი.

11. კომისიის ოქმში უნდა აისახოს:

იჯარით გაცემული ქონების დასახელება;

კომისიის შემადგენლობა;

საკონკურსო კომისიის წევრთა მონაცემები;

კონკურსის მონაწილეთა დოკუმენტები დანართის სახით;

კომისიის წევრთა წერილობითი დასკვნები მათი არჩევნის დასაბუთებით (დანერთების სახით);

კონკურსში გამარჯვებულის დასახელება;

საიჯარო ქირის ოდენობა, გადახდის წესი (მათ შორის — ვადაზე ადრე გამოსყიდვა) და იჯარის ვადა.

ოქმს თან უნდა ერთვოდეს გამარჯვებულის სახელზე წერილის პროექტი, რომელიც შეიცავს შეტყობინებას გამარჯვებულად ცნობის შესახებ და მოწვევას საიჯარო ხელშეკრულების დამტკიცებისა და სათანადო ხელშეკრულების დამოწმების შესახებ.

12. კომისია ამზადებს საიჯარო ხელშეკრულების პროექტს.

13. კომისია აქვეყნებს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

14. საიჯარო ხელშეკრულებას მეიჯარე ამტკიცებს კომისიის სხდომის (ან აუქციონის შედეგების) ოქმის საფუძველზე და დამოწმდება სანოტარო წესით, მეიჯარის ხელმოწერით, ბეჭდით, მოიჯარის რეკვიზიტებისა და თარიღის აღნიშვნით, რის შემდეგ საიჯარო ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტის ძალას იძენს და მოქმედებას იწყებს.

15. თუ მოიჯარე ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფია, საიჯარო ხელშეკრულებაზე მათ ხელმოწერებს ადასტურებს ნოტარიუსი.

16. საიჯარო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია იჯარით გაცემული ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს ქონების ნუსხა და ღირებულება.

17. სახელმწიფო საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) იჯარით გაცემისას ამავე საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) თანამშრომლების მიერ შექმნილ ამხანაგობას უპირატესი უფლება აქვს პირდაპირ კონკურსისა და აუქციონის გარეშე აიღოს ქონება იჯარით, თუ განცხადებას წარუდგენს კომისიას საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განცხადებით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ეძლევათ საწარმოს მუშაკებს.

18. კონკურსი გაუმართავად ითვლება, თუ დადგენილ ვადაში არ შევიდა არც ერთი განცხადება ან წარდგენილი განცხადებებიდან არც ერთი არ შეიცავს აუცილებლად წარსადგენ დოკუმენტებს. ამ შემთხვევაში კომისია ადგენს კონკურსის გაუმართავობის ოქმს, რომელსაც ამტკიცებენ მეიჯარე და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

9. სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა აუქციონის წესით

1. სახელმწიფო ქონების აუქციონის წესით იჯარით გაცემისას განცხადებების განმხილველი კომისია ობიექტს აუქციონისათვის ამზადებს ამ დებულების შესაბამისად და გადასცემს ერთი დღით ადრე აუქციონის ჩატარებამდე აუქციონის ჩამტარებელ კომისიას ან მოწვეულ შუამავალს.

2. აუქციონის გზით გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია აუქციონის მონაწილეთაგან შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

3. აუქციონზე ბიჯი უნდა შეადგენდეს საიჯარო ქირის სასტარტო ფასის სულ ცოტა 10 პროცენტს.

4. აუქციონში გამარჯვებულსა და მეიჯარეს შორის საიჯარო ხელშეკრულება ფორმდება ამ დებულების მე-8 მუხლის მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

10. იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვა

1. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვის პირობებს.

გამოსყიდვის ვადები და პირობები დგინდება საიჯარო ხელშეკრულებით.

2. გამოსყიდვის შემდეგ მოიჯარე გამოსყიდვის ფაქტის დადასტურებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს, რომელიც ვალდებულია განცხადების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება:

საიჯარო ხელშეკრულების ასლი;

ქონების მიღება-ჩაბარების აქტი;

ქონების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას გასცემს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი უფლებამოსილი ორგანო.

4. თუ მეიჯარე არ ეთანხმება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გადაწყვეტილებას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ, მას შეუძლია მოწმობის გაცემიდან ერთი თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს.

11. პასუხისმგებლობა ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევისათვის

1. ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საიჯარო ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ წამოჭრილი სადავო საკითხები გადაწყვიტონ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში იგი აუცილებელია არსებობდეს წერილობითი ფორმით, დაამოწმონ მხარეებმა და თან დაურთონ საიჯარო ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ. სადავო საკითხებს წყვეტს ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით საიჯარო ხელშეკრულებას აუქმებს სასამართლო.

მეტროპოლიტენი: გუშინ, დღეს, ხვალ...

აქედან ისე ახლოა ზეცა...

დღეს, ამ ხაოცარი შეჭირვების დროს, ძალიან უჭირს თბილისის მეტროპოლიტენსაც, რომელიც მრავალი პრობლემის მიუხედავად მაინც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. იგი ერთადერთი სახეობაა ტრანსპორტისა, შეძლებისდაგვარად გამართულად რომ ემსახურება თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს. ამიტომაც სჭირდება მეტი ყურადღება, დაფასება და მხარდაჭერა მისი კოლექტივის თითოეულ წევრს ყველასაგან, ცხადია, პრესის თანამშრომლებისაგანაც. ამიტომაც ვეწვიეთ ახლახან მეტროპოლიტენის კოლექტივს.

აქვე მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის ბატონ გურამ გაბუნიას სიტყვებს დავიმოწმებთ: —თბილისის მეტროპოლიტენს" დღე-ღამეში მილიონამდე მგზავრი გადაჰყავს. მაშინ, როცა მსოფლიოში ყველაზე გადატვირთული მოსკოვის მეტროპოლიტენის ხვედრითი წილი სამგზავრო გადაყვანაში 43-44 პროცენტს შეადგენს, თბილისის პირობებში ეს მაჩვენებელი 92-93 პროცენტს აღწევს. მეტროპოლიტენი რთული და მრავალმხრივი ნაგებობაა (გვირაბი, ლიანდაგი, კავშირგაბმულობა, ენერგომომარაგება, მოძრავი შემადგენლობა და სხვა), სადაც 3,500 კაცი მუშაობს. იგი 1966 წლიდან შევიდა ექსპლუატაციაში და ბუნებრივია, შესაბამისად, ძველდება და ცვდება კიდეც. ჭირს ჯეროვან ტექნიკურ დონეზე მისი შენარჩუნება, სათანადო მოვლა-პატრონობა; დაიკარგა აუცილებელი კავშირები, რომლებიც არსებობდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების 300-მდე ქარხანასთან. ამოწურულია ყველა რეზერვი, რაც მას სჭირდება (კაბელი, ესკალატორები, მატარებლები და სხვა).

ჩვენთვის საინტერესო კიდევ სხვა ინფორმაციის მიღების შემდეგ, დიდუბის სახაზო პუნქტისაკენ გავემართეთ, სადაც ჩვეულებრივ თავს იყრიან მემანქანეები, მეტროს სხვა თანამშრომლები.

ჩვენს შორის მალე დამყარდა ბუნებრივი, გულახდილი ურთიერთობა. დაუფარავად, გულახდილად გვიზიარებდნენ თავიანთ გულისნადებს:

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვთხოვთ ხალხს ნუ გვიპირისპირებენ. ჩვენ რომ ხელფასის მომატება მოვითხოვოთ, განა ეს ადამიანებს არ წაადგებათ?! მშიერ-მწყურვალებს არც მატარებელი დაგვემორჩილება, ვერც გვირაბსა და გვირაბიდან გასასვლელს დავინახავთ."

„მართალია, ზოგმა მემანქანემ მძიმე პირობების გამო ჩვენი პროფესია მიატოვა, მაგრამ ვინც ორი-სამი ათეული წელი ემსახურება თავის საყვარელ საქმეს... მათ შესახებ რატომ არაფერს წერს პრესა?!"

მიწისქვეშეთში მატარებლის „ქროლვამ" უჩვეულო მიჩვევა იცის. მიჩვევა კი ყველაზე დიდი სიყვარულია. ამ პროფესიას ვაჟკაცური სულისანი ეტანებიან.

პენსიაში გასულებიც უკან მობრუნდნენ. ვერ ძლებენ მიწისქვეშ განცდილი აღმაფრენის გარეშე... მატარებლის პირველ ვაგონსაც ხომ მეტროს ფრთაგაშლილი ემბლემა აქვს მიკრული, პირველი სწორედ იგი აუწყებს მგზავრებს მატარებლის სადგურში „შემოფრენას"...

ეს ახალგაზრდები და ჭარმაგი ვაჟკაცები ნამდვილი რომანტიკოსები და, ამავე დროს, თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები არიან. „მეტროს არ გავაჩერებთ! მეტროს ყველა შევეხიდებით" — ასე აქვთ გადაწყვეტილი.

შემდეგ მემანქანის დღეს შევესწრებით, რომელიც დეპოში ტრადიციულად ყოველ ხუთშაბათს იმართება. აქ იყვნენ მემანქანეები და დეპოს ხელმძღვანელობა. ისინი მოითხოვდნენ ტექნიკურ კვლავაღჭურვას, შიდა რეზერვების ამოქმედებას, ჩვენსავე ქარხნებში იმ მარაგნაწილების დამზადებას, რაც საჭიროა მეტროპოლიტენის სრული სიმძლავრით ამოქმედებისათვის. გამოითქვა აზრი, გამოინახოს სახსრები, შეიქმნას მეტროპოლიტენის გადარჩენის ფონდი.

ყველგან, სადაც კი გვხვდებოდნენ მეტროპოლიტენელები: ჯუმბერ წამალაშვილი, ანზორ ირემაშვილი, ნუგზარ ალავიძე, როლანდ ტულუში, კუკური მერაბიშვილი, ოთარ ხელაია, როლანდ შუბითიძე, ალექსანდრე ბიბილაშვილი, გია კანდელაკი და სხვები, ითხოვდნენ, რომ ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი მეტროს სრული შესაძლებლობით ამოქმედებას.

და მართლაც, როგორც ბატონმა გურამ გაბუნიამ გვითხრა, მეტროპოლიტენის მარაგნაწილები უკვე მზადდება ქუთაისის მექანიკურ, თბილისის საავიაციო, პლასტმასის და სხვა ქარხნებში. სნგ-ში შესვლის შემდეგ ზოგიერთი კავშირის აღდგენაც მოხერხდა. მაგრამ პირველ რიგში საჭიროა სახსრების გამონახვა. მიუხედავად სირთულეებისა, ბოლო წლებში შეძენილია 70-მდე ვაგონი.

...გვინდოდა მემანქანესთან ერთად გვემგზავრა მიწისქვეშეთში და თანაც უფრო სრულად გაგვეგო ის საფიქრალი, მას და მის კოლეგებს რომ აწუხებს.

აი, ერთ-ერთი მათგანი, თმაშევერცხლილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი როსტომ ნეფარიძე, რომელმაც თავაზიანად შეგვიპატიჟა კაბინაში.

ბატონმა როსტომმა გულდასმით დაათვალიერა იქაურობა, ხელი შეავლო სამართავ პულტს და ჩვენც დავიძარით. მიქრის მიწისქვეშეთში ჩვენი რონოდა. შორიდანვე ვამჩნევთ მწვანე და ყვითელი შუქნიშნის კიაფს. სადგურში შევდივართ.

— სადგური ნაძალადევი, შემდეგი სადგური ვაგზლის მოედანი — ესმით მემანქანის კაბინიდან მგზავრებს.

მიწისქვეშეთიდან გამოსული მეტროს მემანქანისა და მგზავრებისათვის განათებული სადგური ელვარდა — თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილ ცის თაღქვეშ მოვექეცით, სახე გაუნათდა როსტომს, ალბათ ასეთი განცდაც ხიბლავთ მემანქანეებს.

ამ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფნი მემანქანეს ვეკითხებით:

— თუ იცით, მიწისქვეშეთიდან ზეცამდე რა მანძილია?

— ასე მგონია, ყოველი სადგურის გამოჩენით ცისკარედი მეხსნება, ამიტომ, ჩვენთვის, მემანქანეებისათვის ზეცამდე მანძილი თითქმის არ არსებობს, — ზუმრობს როსტომი.

— მემანქანის პროფესიაზე ადრე თუ გიოცნებიათ?

— რა თქმა უნდა, იგი ყოველთვის მიმაჩნდა ვაჟკაცების პროფესიად, და არა მარტო მე! ასე რომ არ იყოს, მაშინ რა უნდა აქ მთელ ოჯახურ დინასტიებს. გუდაძეების ოჯახიდან დედ-მამა, ორი ვაჟიშვილი ჩვენთან მუშაობენ, სხვებიც არიან, პენსიაში გასულებიც დაბრუნდნენ, ზოგს თქვენც ესაუბრეთ: ჯემალ ძიძიგური, რუბენ ტაბატაძე, ჯუმბერ წამალაშვილი, მურმან მჟავანაძე და კიდევ ბევრი სხვა. გმირობის ტოლფასია ამ გაუსაძლის დროში მათი შრომა და ცხოვრება, ეს თვალნათლივ ჩანს.

ბატონმა როსტომმა ყოველგვარი შეკითხვის გარეშე თვითონვე გაგვიზიარა გულის წუხილი:

— ამ სავალალო ყოფამ თითქოს მგზავრთა შეგნებაც დააქვეითა. აფუჭებენ კარებს, სახელურებს, სამუხრუჭე ონკანებს; კაბინაში უვარდებიან მემანქანეს და აიძულებენ მათთვის სასურველ სადგურამდე შეუჩერებლივ მიიყვანონ შეზარხოშებული ბიჭები. ძირითადად ეს ღამის საათებში ხდება. ბრძანებას თუ არ შეასრულებ, ვინ იცის, რის ფასად დაჯდება ეს.

ჩვენი პირველი ვაგონი ბოძზე მიმაგრებული, მრგვალი, დიდი სარკის წინ გაჩერდა. მემანქანე სარკეში ხედავს, რა ხდება ბაქანზე, მისი თბილი მზერა დავიჭირეთ.

— ამ ზღვა ხალხში თუ შეგიმჩნევიათ ერთი და იგივე მგზავრი?

— როგორ არა, ბევრს შორიდან ვუღიმი კიდეც, საერთოდ კი, ასე მგონია, ყველანი ჩემი ახლობლები არიან, მთავრობას კი არა, მე ამათ ვემსახურები, ოღონდ, ვწუხვარ, როცა ბაქანი სავსეა მგზავრებით და იძულებული ვარ ცხვირწინ მივუხურო კარი.

— დიდი ხანია მეტროპოლიტენში მუშაობთ?

— ოცდაცხრა წელიწადი. თერჯოლის რაიონში ვსწავლობდი, მერე პროფტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე, ჯერ მემანქანის თანაშემწე ვიყავი, მერე მემანქანე გავხდი, ახლა უფროსი მემანქანე ვარ.

— ამ ხნის მანძილზე ბევრის მომსწრე ბრძანდებით, ალბათ, არა?!

— უსიამოვნო და გულდასაწყვეტი რამდენიც გნებავთ, იმდენი ყოფილა, ამის შესახებ მთელ გზაზე ვლაპარაკობდით კიდეც, მაგრამ სასიამოვნოც იყო — უპირველესად შრომის დაფასება. იყო დრო, მემანქანის მორალურ და მატერიალურ წახალისებას უმაღლეს ინსტანციებში — ხელისუფლებასა და მთავრობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თანდათან უნდა აღდგეს ეს ტრადიცია. ყველა დროში არსებობდა მედლები, ორდენები; ამ ჯილდოებს ერთ-ერთ პირველთაგანს მემანქანეებს აძლევდნენ. ორდენოსანი მემანქანე საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. აბა, დაასახელეთ, ახლანდელ დროში, ჩვენი გარჯა რაიმე ჯილდოთი თუ აღინიშნა, კარგია სხვადასხვა დარგის დამსახურებულ ადამიანებს რომ აჯილდოებენ, მაგრამ ნუთუ მემანქანეებში არავინ გამოინახა გამრჯე, თავის საქმის გულშემატკივარი და თავდადებული მეტროპოლიტენელი?

— თქვენს ერთადერთ ვაჟს თუ მოიყვანთ მეტროპოლიტენში სამუშაოდ?

— თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მოვიყვან. მგონია, ის გაჰყვება ჩემს კვალს, კვიცი ხომ გვარზე ხტის, — კვლავ ღიმილით ამბობს ბატონი როსტომი...

ჩვენი მოგზაურობა მეტროთი — ერთი კიდიდან მეორემდე — დასრულდა, რამდენიმე დღე მეტროპოლიტენელთა გარემოში ყოფნამ სრულიად ნათლად გამოკვეთა, როგორი განსხვავებული აზრიც უნდა ჰქონდეთ მემანქანეებს მეტროპოლიტენის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, ყოველთვის აერთებთ ერთი დიდი საერთო მიზანი და დანიშნულება, რომლის ხორცშესხმა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლას ემსახურება. ეს აღელვებს ყოველ მეტროპოლიტენელს; სამმართველოს უფროსს ბატონ გურამ გაბუნიას, რომლის ძალისხმევით, ამ ბოლო დროს, ბევრი რამ კეთდება, დეპოს უფროსს გურამ დარჩიას, მის მოადგილეებს ილარიონ დონაძეს, აბესალომ გაგნიძეს, უკლებლივ ყველ თანამშრომელს და, რა თქმა უ და, მიწისქვეშეთში მოგზაურობისას ჩვენს მასპინძელს — როსტომ ნეფარიძეს, მის კოლეგებ

მოგეხსენებათ, არსებობს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულ ება თბილისის მეტროპოლიტენ მუშაობის, მომსახურე პერსონ ლის სოციალური პირობების გ უმჯობესების შესახებ, მინისტ თა კაბინეტთან შექმნილია მე როპოლიტენის მუშაობის სტაბ ლიზაციის უზრუნველყოფის კ მისია ვიცე-პრემიერის ხელმძღვა ელობით. ახლა ყველაფერი რე პუბლიკური ორგანოების, ქალა ის მერიის აქტიურობაზეა დამოკიდებული.

ყურადღების ცენტრში უნდ იყოს მემანქანის, სხვა პერსონა ლის შრომა: ვწეროთ მათ შესა ებ, ვის მხრებზეც დგას მეტრო პოლიტენი, როგორც ახალგაზრდ მემანქანემ — ლაშა მაისურაძ გვითხრა: „თუ შევუწყობთ ხელ მემანქანის პრესტიჟის ამაღლე ბას, მაშინ მეტროპოლიტენში უსათუოდ მოვა ახალგაზრდა შრომის პროცესში თვითონვე მი ხვდება, იგრძნობს, მართლაც რა მცირე მანძილია მიწისქვეშეთიდან ზეცამდე".

აკაკი ხიხარულიძე



8 და 9 ოქტომბერს საქართველოს ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა გაერთიანებული „ქენელ-კლუბი" აწყობს ჯიშიანი ძაღლების ღია გამოფენას. მსურველებს გთხოვთ, დროულად, 8 ოქტომბრამდე გაიარონ რეგისტრაცია.
მისამართი:
ლესელიძის ქუჩა №22,
ტელ: 98-60-42 (ცნობებისათვის)
ყოველ დღე 11-დან 16 სთ-მდე.

ხმალი
საქართველოს რესპუბლიკა

№8 (43)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირების დანიშვნის, გათავისუფლების, უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მინიჭების წესის შესახებ დებულების თაობაზე

დამტკიცდეს დებულება უმაღლესი სამხედრო თანამდებობების პირების დანიშვნის, გათავისუფლების, უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მინიჭების წესის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

დებულება

უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირების დანიშვნის, განთავისუფლების, უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მინიჭების წესის შესახებ

თავი პირველი

უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირების და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეების დანიშვნა და გათავისუფლება

მუხლი 1. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სამხედრო თანამდებობის პირებს:

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსს — თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს — ზურგის, მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეებს;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჯარების სახეობათა სარდლებს;

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორს — გენერალური პროკურორის მოადგილეს;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალს;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის პირველ მოადგილეს — შტაბის უფროსს;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილეებს;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს;

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსს — სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს.

მუხლი 2. გადაწყვეტილებას უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე პირების დანიშვნის შესახებ იღებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა, გენერალურმა პროკურორმა, კანდიდატების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ კანდიდატის საქმიანი და პიროვნული თვისებები, პროფესიული მომზადების დონე, საქმისადმი დამოკიდებულება, ორგანიზატორული ნიჭი, მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობა.

მუხლი 3. ამ დებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასანიშნი პირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, სახელმწიფო უშიშროების სამსახური და პროკურატურა აფორმებენ წარდგინებას, რომელშიც აღინიშნება შერჩეული კანდიდატურის საალრიცხვო მონაცემები, ნამსახურობის ნუსხა, უკანასკნელი ატესტაციის დასკვნა, თანამდებობაზე წარდგენის საფუძველი, უშუალო უფროსის დასკვნა. აღნიშნული წარდგინება შესაბამისი ხელმძღვანელის ხელმოწერის შემდეგ ეგზავნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის შესაბამისი სამსახური (სამხედრო მრჩეველთა სამსახური, უშიშროებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური და საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება) ამოწმებს წარდგენილ მასალებს, ამზადებს ბრძანებულების პროექტს პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და ყველა მასალას წარუდგენს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური იხილავს წარდგინებას, იწვევს თანამდებობაზე დასანიშნ პირს გასაუბრებაზე და ამის შემდეგ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მისი თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

მუხლი 6. უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირისა და სამხედრო სასამართლოს მოსამართლის გათავისუფლებისათვის დოკუმენტების გაფორმება ხდება ანალოგიურად ამ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

თავი მეორე

უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მინიჭება

მუხლი 7. „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ანიჭებს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში — გენერალ-მაიორის, გენერალ-ლეიტენანტის, არმიის გენერლის, ვიცე-ადმირალის და ადმირალის უმაღლეს სამხედრო წოდებებს;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სისტემაში — გენერალ-მაიორის და გენერალ-ლეიტენანტის უმაღლეს სამხედრო წოდებებს;

გ) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში — პოლიციის გენერალ-მაიორის და პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის უმაღლეს სპეციალურ წოდებებს;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურის სისტემაში — იუსტიციის გენერლის უმაღლეს სპეციალურ წოდებას;

ე) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის სისტემაში — იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის და იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის უმაღლეს სპეციალურ წოდებებს,

ვ) საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის სისტემაში — საბაჟო სამსახურის სახელმწიფო მრჩევლის და საბაჟო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის უმაღლეს სპეციალურ წოდებებს;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სისტემაში — საგადასახადო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის და საგადასახადო სამსახურის სახელმწიფო მრჩევლის უმაღლეს სპეციალურ წოდებებს;

თ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს სისტემაში — საგადასახადო სამსახურის გენერალ-მაიორის უმაღლეს სპეციალურ წოდებას.

ი) საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში — საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური სამხედრო წოდებებს ანიჭებს სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებათ მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურობის, სამხედრო, სპეციალური მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად.

მუხლი 9. უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მისანიჭებლად საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები აფორმებენ წარდგინებას, რომელშიც აღნიშნულ წოდებაზე (დიპლომატიურ რანგზე) წარდგენილ პირს საალრიცხვო მონაცემებს — ნამსახურობის ნუსხა, უკანასკნელი ატესტაციის დასკვნა, წოდების (დიპლომატიური რანგის) მინიჭების საფუძველი, აღნიშნული წარდგინება მინისტრის (უწყების) ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერის შემდეგ ეგზავნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის შესაბამისი სამსახური (სამხედრო მრჩეველთა სამსახური, უშიშროებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური და საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება) ამოწმებს წარდგენილ მასალებს, ამზადებს ბრძანებულების პროექტს პირისათვის შესაბამისი წოდების (დიპლომატიური რანგის) მინიჭების შესახებ და ყველა მასალას წარუდგენს სახელმწიფოს მეთაურს.

მუხლი 11. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური იხილავს წარდგინების ბრძანებულების პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის შესაბამისი წოდების (დიპლომატიური რანგის) მინიჭების თაობაზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით:

აკაკი კურტანიძე — ზემდეგი, 23-ე მექანიზებული ბრიგადის მერვე ბატალიონის „ცუგუროვკის“ პირველი ასეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით:

არჩილ ამაღლობელი — რიგითი, 101-ე ბატალიონის მეორე ასეულის ათეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

მალხაზ დოლიძე — რიგითი, 101-ე ბატალიონის მეორე ასეულის რადისტი-მეკავშირე (სიკვდილის შემდეგ).

ზურაბ პაქსაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში.

პეტრე გლუშკოვი — მაიორი, აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს საზღვაო-სამხედრო პოლიციის განყოფილების უფროსი;

მამუკა კეკელია — უფროსი ლეიტენანტი, აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს ქ.. სოხუმის ბატალიონის ჯავშან-ტექნიკის ასეულის მეთაურის მოადგილე

აკაკი ლომიძე — უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო-საჰაერო ძალების და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ავტოსამსახურის ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

ალექსანდრე მდინარაძე — რიგითი, 17363 სამხედრო ნაწილის ყუმბართმტყორცნელი (სიკვდილის შემდეგ);

უშანგი სიხარულიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, 17363 სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

გიორგი ტყეშელაშვილი — რიგითი, 17363 სამხედრო ნაწილის მსროლელი;

ზურაბ ჩაკვეტაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

დავით ჩიხრაძე — ზემდეგი, 55059 სამხედრო ნაწილის ბატალიონის ასეულის ზემდეგი (სიკვდილის შემდეგ);

ნიკოლოზ ხოკრიშვილი — რიგითი, 17363 სამხედრო ნაწილის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

დავით მიქელაძე — ზემდეგი, სამხედრო-პოლიციის ბრიგადის დაცვის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის მერვე სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მებრძოლების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის მერვე სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მებრძოლები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით:

გიორგი ირემაშვილი — კაპიტანი, შტაბის უფროსი (სიკვდილის შემდეგ);

ვლადიმერ ლუბოვსკი — მაიორი, მეთაურის პირველი მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

თამაზ ტოროშელიძე — კაპიტანი,, მეთაურის მოადგილე ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში (სიკვდილის შემდეგ);

ალბერტ ქართველიშვილი — კაპიტანი, მეთაურის მოადგილე ზურგის დარგში (სიკვდილის შემდეგ);

სერგო ქსოველი — კაპიტანი, ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ;

ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით:

ზაზა მიდოდაშვილი — კაპიტანი, ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

ვლადიმერ ჯავახიშვილი — კაპიტანი, ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით:

ზვიად თათრიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

გელა ირემაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

უშანგი (მამუკა) მამულაშვილი — რიგითი მებრძოლი

იური პატარიძე — უფროსი ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

ფაშისტ დამპყრობთაგან უკრაინის განთავისუფლების 50 წლისთავი

მეგობრობა-გამარჯვების საწინდარი

ხალხთა საბრძოლო ერთიანობისა და ძმობის, მათი შეუდრეკელობის უჭკნობ სიმბოლოდ იქცა თავდადება გმირი ქალაქების ოდესის, სევასტოპოლის, კიევის, აგრეთვე ქერჩის დამცველებისა, რომელთა შორის იყო ბევრი ქართველი მამაცი მეომარი. უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება აქვთ მიღებული დღეს ცნობილ ქართველ მეცნიერს, არქიტექტორ ირაკლი ციციშვილს, სახელოვან მეომრებს ბუაჩიძეს, შენგელიას, გუბელაძეს, ტყაბლაძეს, უკლებას და სხვებს.

დიდი სამამულო ომის დასაწყისში მტერს შეება უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო სამსახურში მყოფი 40.000 ქართველი მეომარი.

ყოველივე ამისა და დიდი სამამულო ომის ისტორიაში სახელოვანი ფურცლის — მოძმე უკრაინის ფაშისტ-დამპყრობთაგან განთავისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად და პატივის მისაგებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 5 ოქტომბერს შეიკრიბნენ საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტი და ომის ვეტერანები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა, აკადემიკოსმა გიორგი ციციშვილმა.

დარბაზმა დიდი ინტერესით მოისმინა საქართველოში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ანატოლი კასიანენკოს მოხსენება. უკრაინის დაპყრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანიის რეიხი, — თქვა ანატოლი კასიანენკომ, — რადგან იგი მიაჩნდა უმოკლეს გზად მთელი საბჭოთა კავშირის დასაპყრობად. ჰიტლერელთა ამ განზრახვის ჩასაფუშავად თავი არ დაუზოგავთ ქართველ მეომრებს — გენერლებს, ოფიცრებს, ჯარისკაცებს, მან უკრაინელი ხალხის გულითადი მადლობა გამოთქვა ქართველი ხალხისადმი.

უკრაინა, ისევე როგორც ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკები, მესამე წელიწადია აშენებს თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას. ნაბიჯნაბიჯ იზრდება და ძლიერდება ამ თავისუფალ რესპუბლიკათა ურთიერთკავშირი, ძმობა და მეგობრობა, — ითქვა კრებაზე, — უკრაინის ზეიმი ჩვენი ზეიმიც არის.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვეს ირაკლი ციციშვილმა, ივანე სავჩენკომ, ისრაელის ელჩმა საქართველოში ბერენბაუმმა, გიორგი ბოჭორიშვილმა...

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის სახელით გულთბილი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ.

საქართველოს ომის ვეტერანთა საზეიმო კრებამ მიიღო მიმართვა ფაშისტ დამპყრობთაგან უკრაინის განთავისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ კიევში 7 ოქტომბერს გამართული საზეიმო კრების მონაწილეებისადმი.

ლადო დემეტრაძე.

რეპლიკა

დისციპლინა ქუდით იწყება

ქალაქში — ქუჩაშიც, საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც — უამრავ სამხედროფორმიან ადამიანს შეხვდებით. ზოგი ძველებურად რუსეთის არმიის საზაფხულო დაფოთლილ ფორმაშია გამოწყობილი, ბევრს გიმნასტური მხარზე გადაუკიდია და მეზღვაურის თუ მედესანტეთა ზოლებიანი მაისურით დაალაჯებს. მეტრო „დიდუბის“ მიდამოებში, სამხედრო აკადემიის წინ კი კარგად მორგებულ თაგვისფერ კოსტუმებში ჩაწკეპილ ოფიცრებსაც შენიშნავთ, პოლიციისა და რუსეთის ჯარის მოსამსახურეებზე აღარას ვამბობთ, მათ დიდი ხანია თვალი შევაჩვიეთ და აღარ გვეხამუშება.

ამ „მრავალფორმიანობის“ მიუხედავად, მათ საერთოც ბევრი აქვთ: ყველას სამხრეები („პოგონები“) აკერია სუბიექტის სამხედრო წოდების აღმნიშვნელი შვიდქიმიანი დიდი თუ პატარა ვარსკვლავებითურთ, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ბატონი პოლკოვნიკი (ვიცეპოლკოვნიკი, მაიორი, კაპიტანი... და ა. შ.) ჯარში ახალბედა ან ახალგაწვეული პიროვნება არ გახლავთ, მას წლების განმავლობაში ყოფილი სსრ კავშირის არმიაშიც უმსახურია და კარგად უწყის, რომ სამხედრომ სიარული აუცილებლად მარცხენა ფეხით უნდა დაიწყოს...

ყველა ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულფორმიან „მხედრობას“ ერთი საერთო შტრიხიც აქვს: ჩინისა და წოდების მიუხედავად **არც ერთი ფორმის ქუდს არ ატარებს** (რა თქმა უნდა, გენერლების გამოკლებით!), ქუჩაში შეხვედრისას ერთმანეთს არავინ ესალმება, გვერდში ისე ჩაუვლიან, თითქოს გაბუტულები, უმძრახად იყვნენ. არადა, მსოფლიოს ყველა ჯარსა თუ პოლიციაში არსებობს მტკიცე, შეურყეველი კანონი: თუ სამხედრო ფორმა გაცვია, შენი სამხედრო წოდების აღმნიშვნელ სამხრებს ატარებ, კითილონიბი და სუბორდინაციაც დაიცავი, წოდებით უმცროსი ვალდებულია მიესალმოს წოდებით უფროსს. ამასთან ის მიესალმება (ხელის ქუდთან მიტანით) არა პიროვნებას, არამედ მის „პაგონებს“, სამხედრო წოდებას, რაც საფუძვლად უდევს ჯარში უფროს-უმცროსობის ეტიკეტის დამკვიდრებას, დისციპლინის განმტკიცებას.

სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს უდისციპლინო არმიას „ძველი წრთობის“ პოლიციამ და შინაგან საქმეთა სამსახურის თანამშრომლებმაც მიბაძეს და ქუჩაში თავმოშვლებილები დადიან, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ადამიანებში უსიამო შეგრძნებას, მათ მიმართ უნდობლობასაც იწვევს. აგ კი არადა, თვით ისინიც კი, ვინც ქუჩებში სამხედრო მომსახურეთა ქცევას, ჩაცმულობას უნდა აკონტროლებდეს — სამხედრო კომენდატურის პატრულები მყავს მხედველობაში — პირველნი თვითონ არღვევენ სამხედრო წესდებების მოთხოვნებს და, ალბათ, სხვებიც მათ ბაძავენ. ამას წინათ რუსთაველის გამზირზე სამთაგან ერთ მოპატრულეს ხიშტი-დანა ჯიბეში ჩაედო, მეორეს — ქამარში გაერჭო, მესამეს — ხელში ეჭირა?!

იქნებ სამხედრო მინისტრმა ბატონმა ვარდიკო ნადიბაიძემ, ყურადღება მიაქციოს ჩვენს რეპლიკას და ქართულ ჯარში, რომელიც ახლა ჩამოყალიბების პროცესშია, დისციპლინის განმტკიცება იმით დაიწყოს, რომ გამოსცეს მკაცრი ბრძანება სამხედროებმა უქუდოდ არ იარონ და უფროს-უმცროსობის სუბორდინაციის დაცვით ერთმანეთს ხელის აღებით მიესალმონ.

სხვანაირად ქართულ ჯარში დისციპლინას ვერ დავამყარებთ და ვერც განვამტკიცებთ.

დიმიტრი გულისაშვილი,
ჟურნალისტი, გვარდიის გადამდგარი კაპიტანი.

მამაცი სვანები მიყვარან...

ხშირი ვაჟკაცისათვის ცოტა იშვიათია ცრემლი... თენგიზ სუბელიანი — ეს ღონიერი და გონიერი პოლიციელი, 1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმის ერთ-ერთ უბანზე მორიგ საბრძოლო დავალებას ასრულებდა. როგორც საუკეთესო სნაიპერმა, რამდენიმე ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკი“ და მტრის საბრძოლო ტექნიკა გამოიყვანა მწყობრიდან. უცებ, მის ახლოს ჭურვი აფეთქდა, მკერდსა და ხელში გაიხვია, რამდენიმე ნამსხვრევი მოხვდა და მძიმედ დაიჭრა. როცა თვალები გაახილა, ერთი შემზარავად ამოიოხრა, თანამებრძოლებს მოწყალე თვალით გადახედა და... გაოგნდა: მასზე გამოცდილი პოლიციელები — აქ, დედაქალაქში მისი უშუალო ხელმძღვანელები, დიდუბის პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ომარ ფოფხაძე და სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელი, მაიორი მამია ცნობილაძეც დაჭრილები კვნესოდნენ... თანამებრძოლებმა ისინი რის ვაი-ვაგლახით აგუძერის საავადმყოფო-ჰოსპიტალში გადმოიყვანეს, სამ დღეს იქ დაჰყვეს, 26 სექტემბერს კი ბარჟით ჯერ ფოთში, იქიდან კი თბილისში ჩამოიყვანეს... თენგიზი მარცხენა ყურში დაყრუვდა, ნაღმის ნამსხვრევი მარჯვენა სახსარშიც მოხვედროდა და ლამის მოეგლიჯა... ძლიერმა სხეულმა მაინც გაუძლო, მალე გამოჯანმრთელდა და... ორიოდე თვის შემდეგ დიდუბის პოლიციის პირველ ქვეგანყოფილებაში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა...

— როცა დაჭრილი ვიყავი, აგუძერაში, ფოთში, თბილისში, დახლოებით ერთი კვირა, ჩემდაუნებურად, ცრემლი მდიოდა თვალთაგან...

— როგორ, ჩემდაუნებურად? — ჭრილობები გტანჯავდა, ალბათ...

— არა, მე არასოდეს მიტირია, ბრძოლის დროს უკან დახევა რას ნიშნავს, არ ვიცი, ექიმებმა მითხრეს, ზოგჯერ ცრემლი თავისით მოდისო...

— დალის ხეობის ულამაზეს სოფელ აჟარაში რაინდი და უშიშარი სვანების გვერდით გაზრდილ ვაჟკაცს, შესაძლოა, მართლაც არასოდეს უტირია, მაგრამ შენი აფხაზეთი, შენი სოხუმი მაინც სხვა ტკივილია და ცრემლიც ამიტომ გდიოდა, თენგიზ!..

გაჩუმდა, არაფერი უთქვამს, ერთი ამოიოხრა და თვალები ისევ აუწყლიანდა...

16 წლისა იყო, მამამისი და პატარა ძმა მდინარე კოდორის უცაბედად მოვარდნილმა ტალღებმა რომ შეიწირეს... მარტოხელა, [illegible], ჯილდებისთვის საფიცარმა დედა ფატიმ თენგიზსა და მის უმცროს დებს — ასმათსა და ირას უმამობა არ აგრძნობინა, ლუკმა არ მოაკლო... სკოლის დამთავრების შემდეგ თენგიზი ჯარში წავიდა, იქიდან დაბრუნებული კი თბილისის პოლიციის უმაღლეს სკოლაში შევიდა და ფრიადებზე დაამთავრა იგი... [illegible] ჩამოყალიბებულ ჩეკისტს სოხუმის საქალაქო განყოფილებაში ანაწილებენ. მუშაობის სულ რაღაც ერთი წლისთავზე, განსაკუთრებით საშიში დამნაშავის დაკავებისათვის, შინაგან საქმეთა სამსახურის ფრიადოსნის წოდებას ანიჭებენ. მშობლიურ აფხაზეთში ხუთი წელიწადი იშრომა, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა და ჩვეული ერთგულებით შეუდგა სახიფათო, მაგრამ ვაჟკაცური სამსახურის შესრულებას. ბოლო სამი წელიწადია დიდუბის რაიონის პოლიციის პირველი ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორია. თენგიზს აქვს კაპიტნის ჩინი და უღალატო, პატიოსანი კაცის სახელი... ის ყველგან უყოყმანოდ მიდის: იბრძოდა ცხინვალში, სოხუმთან, ლაბრასთან, ოჩამჩირესთან, ბოლოს სენაკსა და მარტვილშიც...

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და გაბედული მოქმედებისათვის ახლახან, სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური ბრძანებულებით თენგიზ სუბელიანი მედლით — მხედრული მამაცობისათვის — დაჯილდოვდა. ...ამ რამდენიმე დღის წინათ თენგიზი დედაქალაქის ერთ უბანში, მეტად პასუხსაგებ საგუშაგოზე ვნახე. ჭრილობებმოუშუშებელი (სახსარში ახლაც რკინა უდევს), ღამენათევი კაცი მაინც ამაყად იდგა და მეგობრებს იქით ამხნევებდა. რას ინატრებ-მეთქი, — შევეკითხე. — ბრძოლის ჟინით ვარ სავსეო, — მითხრა, ნურავის ეგონება, ბოლო ხანებში ჩვენში აღზევებულ დანაშაულობასთან ბრძოლის რაინდები უშედეგოდ ჩაივლის, მანამ ვიბრძოლებთ, სანამ მაფიოზებს, ბანდიტებს, ტერორისტებს, ათასი ჯურის ნაძირალებს ბოლოს არ მოვუღებთ...

— შენზე წერილი უნდა დავწერო და საქვეყნოდ გამოგაჩინო-მეთქი — შევპირდი.

— თუ ძმა ხარ, ჯერ სამაგისო რა გამიკეთებია, საქვეყნოდ გამოსაჩენი ჩემი მეუღლე და პატარა ბიჭი გიორგია, ასე დღედაღამ კარში გავარდნილს რომ მიძლებენ, იქით მამხნევებენ და რწმენას მმატებენ.

— ვინ გინდა გიორგი გამოვიდეს?

— ჯერ პირველ კლასშია და ისე კარგად ცეკვავს, კარგი ხელოვანი თუ არა, ძლიერი ჩეკისტი მაინც გამოვა... (იცინის)... რა ვიცი, ოღონდ მშვიდობიან საქართველოში იცხოვროს და რაც უნდა ის გამოვიდეს...

— ღმერთმა გისმინოს, სვანო ვაჟკაცო, პატარა გიორგი სუბელიანს, მამა-პაპისეულ კერაზე, დალის ხეობასა და სოხუმში მუდამ უშიშრად მიეჩქარებოდეს...

სპარტაკ ქობულია.

სურათზე: თენგიზ სუბელიანი.

გმირები არ კვდებიან

მამის წერილი უკომენტაროდ

ძვირფასო რედაქციავ! ჩემი შვილი პოლიციის უმაღლესი სკოლის პირველი კურსის მსმენელი, პოლიციის სერჟანტი, **ანდრია ვლადიმერის ძე ჭანტურიძე**, სასწავლებელში ჩაბარებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იბრძოდა აფხაზეთის ომში, იცავდა ქ. გაგრას. იგი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, თავის ამხანაგებთან ერთად დაიღუპა. ეს მოხდა 1992 წლის 29 აგვისტოს, გაგრის მისადგომებთან, სოფელ კოლხიდაში.

მან ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო, მის სახელზე არაფერი დაგვრჩენია... მიმდინარე წლის 11 აპრილს მას 23 წელი შეუსრულდა! საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებით „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის“ ჩემი შვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

გთხოვთ, თქვენს გაზეთში მოიხსენიოთ იგი, როგორც სამშობლოსათვის თავგანწირული ჭაბუკი, გიგზავნით ფოტოსურათსაც.

პატივისცემით, დაღუპული ვაჟკაცის მამა.

ვლადიმერ ჭანტურიძე.
თერჯოლის რაიონი. სოფ. ხანო.

მწარე სინამდვილე

დასაფლავება... ღამით

ჩვენი დღევანდელი სიდუხჭირე, უზნეობა, წარმოუდგენელი სიხარბე სასაფლაოზეც ნათლად აისახება. დღე არ გავა, შეწუხებული, ნერვებმოშლილი ჭირისუფალი არ გვეწვიოს და ერთი ვაიუშველებელი არ შექმნას, იპარავენ ყველაფერს — ყვავილებით დაწყებული და ძვირფასი მარმარილოს უშველებელი ფილებით დამთავრებული. ჭირისუფალს, რატომღაც ჰგონია, რომ ათობით ჰექტარ სასაფლაოს ტერიტორიას ორად ორი ზედამხედველის თვალი და ყური გასწვდება, განსაკუთრებით გვიჭირს ღამის საათებში.

ახლახან, სამუშაო საათების შემდეგ, სასაფლაოს შორეულ კუთხეებს საგულდაგულოდ ვათვალიერებდი. უცებ, ახალი ნაკვეთიდან ხმაური შემომესმა. იქითკენ გავეშურე. რამდენიმე წუთში შემზარავი სურათი დამიდგა თვალწინ: კუბოს მსგავს თუთიის ყუთთან გაფითრებული ქალი იჯდა, იქვე შავებში ჩაცმული კაცი ოდნავ ამოთხრილ ორმოში იდგა და მთელი ძალით ერკინებოდა გამომშრალ, ნაგვალავ მიწას... ერთხანს გაოგნებული შევყურებდი ამ უცნაურ სურათს, მერე ძალა მოვიკრიბე და სასაფლაოს „უცხო“ სტუმრებს ხმადაბლა ვუთხარი:

— საცაა დაღამდება, აქ რა გინდათ?

გამხდარმა, შუახანს მიტანებულმა კაცმა წერაქვი ფეხებთან მიაგდო, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და თვალი თვალში გამიყარა.

რადგან პასუხი ვერ მივიღე, კითხვა გავუმეორე...

უცნობმა ცოტა ხანს იყუჩა, თვალთაგან ცრემლები წასკდა და ძლივს წაილუღლუღა:

— შვილს ვასაფლავებთ!...

კარგა ხანს ჩუმად ვიდექით. ბოლოს ისევ მე ამოვიღე ხმა, მოკლედ ავუხსენი, რომ თბილისი ქალაქია და აქ მიცვალებულის დასაფლავებას თავისი წესი და რიგი აქვს-მეთქი...

უცნობმა ერთხელ კიდევ შემომხედა, თავი მძიმედ დამიქნია და ამბის მოყოლა დაიწყო:

— ქალი, რომელიც კუბოს დასტირის, ჩემი მეუღლეა. ჩვენ აფხაზეთის მთიანეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში ვცხოვრობდით... ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენს ერთადერთ ბიჭს სისხლის გათეთრების ნიშნები აღმოაჩნდა... ბუნებრივია, ოჯახში თუ რაიმე გაგვაჩნდა, ფულად ვაქციეთ და მოსკოვს გავემგზავრეთ. იქ რვა თვე დავყავით, მაგრამ... შვილს მკურნალობის არაფერი შეეტყო. შემდეგ, სანქტ-პეტერბურგში არსებული სამკურნალო ცენტრი გვირჩიეს... არც იქ გამოვიდა არაფერი. ისევ მოსკოვს დავბრუნდით. საქმე სულ უკან მიდიოდა. ძვირადღირებული წამლების შეძენამ, ექიმებისათვის განკუთვნილმა გასამრჯელომ ჩვენი დანაზოგი მალე გააქრო... ამასობაში ომიც დაიწყო. საქართველოდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა. ჩვენი ქართული სოფელი გამხეცებულ სეპარატისტებს მოლიანად გადაუწვავთ...

შვილი გაზაფხულის პირზე გარდაგვეცვალა... ბოლო კაპიკებით, ხვეწნა-მუდარითა და დიდი ვაივაგლახით, მიცვალებული თუთიის კუბოში ჩავაწვინეთ და ვნუკოვოს აეროპორტში მივასვენეთ.

რისი იმედი მქონდა, დღემდე არ მესმის... რამდენიმე საათს ტყუილუბრალოდ ვწრიალებდით აეროპორტის მოსაცდელ დარბაზებში. არა თუ ახლობელს, ნაცნობ სახესაც ვერ მოვკარი თვალი. რა უნდა გვექნა, ის ღამე აეროპორტის ერთ კუთხეში, შვილის კუბოსთან გავათიეთ. მეორე დღეს პოლიციელმა ვიღაც დიდ მოხელესთან წარგვადგინა, რომელიც, ეტყობა საქმის კურსში იყო და ჩვენი საქციელი არაეთიკურად ჩათვალა და გვითხრა: ...თქვენი მიცვალებული აქვე მოსკოვის გარეუბანში მდებარე სასაფლაოზე დაკრძალეთო!.. თავში ლამის სისხლი ჩაგვექცა, როცა წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენი შვილი სამუდამოდ უცხო ცის ქვეშ უნდა დაგვეტოვებინა!... კარგახანს გაოგნებულები ვიდექით... მერე, პოლიციის მანქანა მოგვადგა და რამდენიმე წესრიგის დამცველმა კუბო ასწია... სასოწარკვეთილებისა და უღონობისაგან ცოლ-ქმარმა ისეთი ღრიალი მოვრთეთ, მთელი აეროპორტი ჩვენ გვიყურებდა... შვილის კუბოს ჩავებღაუჭეთ, რომ ხალხის კედელი ვიღაც ჭარმაგმა, თმაშევერცხლილმა კაცმა გამოარღვია, შორიახლოს დადგა და ყურადღებით დაგვაკვირდა. უცნობი რუსულად გამომელაპარაკა, მაგრამ ჩემი პირველივე პასუხებით მიხვდა, რომ ქართველთან ჰქონდა საქმე. მაშინვე ქართულად დამელაპარაკა და მანუგეშა. მოკლედ ვუამბეთ, რა საშინელებაც გადაგვხვდა თავს და ისიც ვაუწყეთ, რას გვპირებდნენ პოლიციის თანამშრომლები. იგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ გვერდით მდგომთ რაღაც გადაულაპარაკა. ასე, ნახევარ საათში ისევ მიუახლოვდნენ ჩვენი შვილის კუბოს, ამჯერად უკვე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი, აიღეს ასწიეს და აეროპორტისკენ წაიღეს. ჩვენ ისევ ყვირილი დავაპირეთ, მაგრამ თანამემამულემ დაგვამშვიდა, ბიჭის ცხედარი თბილისის თვითმფრინავში მიაქვთო!.. ცოტა სული მოვითქვით და პროცესიას დავედევნეთ. ჭარმაგი კაცის მხლებლებმა შეგვაჩერეს, დაგვიყვავეს, მოგვეფერნენ, იქვე მდებარე სასადილოში შეგვიყვანეს და ძალად ორიოდე ლუკმაც გვაჭამეს... მერე უცნობმა თავისთან მიგვიხმო, თვითმფრინავის ორი ბილეთი და ფული გადმოგვცა, თან ბოდიში მოგვიხადა, რომ მეტით ვერ გვეხმარებოდა, ხელი ჩამოგვართვა, დაგვემშვიდობა და მხლებლებითურთ კიბეებს ჩაუყვა. მე თავი სიზმარში მეგონა, ისე დავიბენი, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე. ბოლოს, როგორც იყო მოვისაზრეთ და მის უკან მიმავალი ერთ-ერთი ახალგაზრდის შევეკითხეთ: ვუთხარით, ვისზე ვილოცოთ-თქო... ახალგაზრდა კაცი ყურადღებით დაგვაკვირდა, ჩვენს გულწრფელობაში დარწმუნდა და გვიპასუხა, რომ ჭარმაგი კაცი ჯაბა იოსელიანი იყო, რომელიც მოსკოვიდან ოფიციალურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად ჟენევაში მიემგზავრებოდა... გავხედით, ჩვენი მოქმედებისა შეგვრცხვა, ამ ასაკის კაცი როგორ დაგვეხმარა, როგორ გაგვამხნევა, ჩვენ კი ხეირიანი მადლობაც ვერ ვუთხარით...

თბილისის აეროპორტში დაიწყო ჩვენი გაწამაწიის ახალი სერია. ათასი ჯურის ვიგინდარა არავის და არაფერს დაგიდევდათ და სხვისი ჭირითა და უბედურებით ხელის მოთბობას ცდილობდა. ბოლოს, როგორც იყო, სატვირთო მანქანა გავაჩერეთ. დიდი ხვეწნამუდარის შემდეგ კუბო ძარაზე მოვათავსეთ და კითხვა-კითხვით აეროპორტთან ყველაზე ახლოს მდებარე სასაფლაოს (მგონი „დამპალოს“ ეძახიან) მივაშურეთ, მაგრამ იქ, როგორც იტყვიან, ნემსის ჩასაგდები ადგილიც არ ყოფილა. ვიღაცამ გვირჩია პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეწვიეთ, იქ დასამარხ ადგილს ნამდვილად იშოვითო... ასე აღმოვჩნდით აქ, ამ შებინდებისას — თქვა კაცმა და დადუმდა...

რაღა უნა მეთქვა, სწრაფად ჩავირბინე შინ, ბარი, წერაქვი, და ცოტაოდენი სანოვაგე წამოვიღე... რიგრიგობით ვთხრიდით საფლავს, თან ვამხნევებდი უბედურ მშობლებს. უკვე კარგად იყო დაღამებული, როცა ამ გასაიდუმლოებულ დაკრძალვას მოვრჩით... საწყალ ბიჭს შესანდობარიც წავუკითხეთ და საფლავი რომ არ აგვრეოდა, თავთან მოზრდილი ქვა დავუდეთ!..

ჯემალ ნოზაძე.

გახდნენ იუნესკოს ასოცირებული წევრები

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე — 5 ოქტომბერი განსაკუთრებული სიხარულითა და ენთუზიაზმით აღნიშნეს თბილისის 1-ელ, მე-6, 47-ე, 49-ე და 53-ე სკოლებმა, რომლებიც სულ ახლახან იუნესკოს ასოცირებული წევრები გახდნენ.

ამასთან დაკავშირებით 47-ე სკოლაში გაიმართა პრეზენტაცია, რომელსაც აღნიშნული სკოლების დირექტორებთან და პედაგოგებთან ერთად ესწრებოდნენ რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე თამაზ ტატიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს განყოფილების ხელმძღვანელი პეტრე მეტრეველი და ამავე სამინისტროს იუნესკოს საქმეთა კომისიის პირველი მდივანი ქალბატონი ეკა ლოლეიკო.

სტუმრებმა ილაპარაკეს იმ დიდ და საპატიო მოვალეობაზე, რომელსაც იუნესკოს ასოცირებული წევრობა აკისრებს ჩვენს სკოლებს. იმაზეც, რომ ეს სტატუსი ქართველ პედაგოგებსა და მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ფართოდ ჩაებან იუნესკოს მიერ დადგენილ ღონისძიებებში.

აქვე გადაწყდა, 47-ე სკოლაში შეიქმნას იუნესკოს ასოცირებულ სკოლათა კლუბი.

ჯემალ კასრაძე.

განაჩენი აღსრულებულია

1993 წლის 4 ნოემბერს, ქ. ხონში სხვადასხვა დანაშაულისთვის ხუთჯერ ნასამართლევმა, 1948 წელს დაბადებულმა სულიკო ყარამანის ძე ჩიხლაძემ ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩაიდინა მოხუცი ქალის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუსაჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა.

ჩიხლაძეს უარი ეთქვა შეწყალებაზე. განაჩენი აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ყაჩაღური თავდასხმა

სადგურ სამტრედიის რესტორნის კუპეში ორი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა უშიშროების სამსახურის 4 თანამშრომელს, იარაღის მუქარით წაართვეს პისტოლეტები და ავტომატები. თავდამსხმელებმა ატეხეს უმისამართო სროლა და მიიმალნენ.

საქმეს იძიებს სამტრედიის სატრანსპორტო პროკურატურა.

ძლიერი მიწისძვრა, ცუნამი

იუჟნო-სახალინსკი, 5 ოქტომბერი. (იტარ-სადეპ-საქინფორმი). სამშაბათს, მოსკოვის დროით 16 საათსა და 22 წუთზე, მოხდა მიწისძვრა კურილიის კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით 200 კილომეტრზე. მიწისძვრა ბიძგების ძალამ, ისინი კი ზედიზედ მოჰყვა ერთმანეთს მთელ სერიად, კუნაშირის, შიკოტანის, იტურუპის კუნძულების დასახლებულ პუნქტებში 7-9 ბალი შეადგინა. მიწისძვრა სახალინის სამხრეთით მცხოვრებლებმაც იგრძნეს. არქიპელაგის მთელ კუნძულებზე გამოცხადდა ცუნამის განგაში. კუნაშირსა და შიკოტანზე თავს დატეხილი ტალღების სიმაღლემ სამ მეტრს მიაღწია.

სამოქალაქო თავდაცვის საოლქო შტაბის მონაცემებით. ძლიერ დაზიანდა საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, დაირღვა სატრანსპორტო მიმოსვლა დაბებს შორის, დაზიანდა კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები, არის ნგრევა და რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების გადმოღვრა. კურილელთა დახმარებლად მიდიან სახალინის ოლქში დისლოცირებული ჯარის ნაწილები. ჰაერიდან ვითარების გამოსარკვევად იუჟნო-სახალინსკიდან გაფრინდა წყნარი ოკეანის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო თვითმფრინავი. საავარიო-საშველ სამუშაოებს სათავეში ჩაუდგა საოლქო ადმინისტრაციის მეთაური ევგენი კრასნოიაროვი. კურილის კუნძულებზე წლეულ ყველაზე მძლავრი მიწისძვრისა და კუნძულზე თავს დატეხილი ცუნამის მსხვერპლის შესახებ მონაცემები სამოქალაქო თავდაცვის საოლქო შტაბში ჯერჯერობით არ მიუღიათ.

ხიდები

მე შევხვდი გოგონას...

ძვირფასო ირაკლი,

ქალაქ თბილისისა და მთელი საქართველოს დაძმობილება ქალაქ პალერმოსთან უკვე აღიარებული ფაქტია. იგი სინამდვილედ იქცა გასაოცარი ქართველი ბავშვების პალერმოში ყოფნის წყალობით.

ბატონო ირაკლი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ინტუიციით ვიგრძენით თბილისისა და პალერმოს ჭეშმარიტი ძმობა და ხელი მოვაწერეთ ფორმალურ აქტს მათი დაძმობილების თაობაზე, რაც უკვე ფოტოგრაფიულ რეალობად იქცა.

დიახ, ეს სწორედ ასეა.

და მე შევხვდი გოგონას და დავუძახე მას ნინო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი პალერმოელი გოგონაა და ჰქვია ჯოვანა.

მე შევხვდი ბიჭუნას და დავუძახე მას ფრანჩესკო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი ქართველია და ჰქვია ვახტანგი.

მეტს არაფერს დავამატებ, გარდა იმისა, რომ ვისურვებ რაც შეიძლება მალე შეგხვდე და მოგეხვიო.

სიყვარულით შენი **ლეოლუკა ორლანდო.**

პალერმო და თბილისი ძმადნაფიცი ქალაქები რომ არიან, ეს დღეს ყველამ იცის. მეოთხედი საუკუნის წინ დაედო ამ დამოყვრებას საფუძველი, როცა სიცილიაში 1968 წელს საშინელი მიწისძვრა მოხდა და საქართველომ კატასტროფით ტრავმირებულ ბელიჩელ ბავშვთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ქობულეთსა და მწვანე კონცხზე შეიფარა, მოეფერა და დაასვენა. მას შემდეგ ამ ორ ქალაქს შორის მრავალჯერ გაიცვალა დელეგაციები, მხატვრული კოლექტივები, სპორტული გუნდები, გამოფენები... ამ ხნის მანძილზე ურთიერთობა, როგორც იტყვიან, „გარდამავალი უპირატესობით" მიმდინარეობდა იმისდა მიხედვით, თუ ვინ ედგა სათავეში პალერმოს თუ თბილისის მერიებს. განსაკუთრებით გამოცოცხლდა და განმტკიცდა სიცილიისა და საქართველოს დედაქალაქების კავშირები 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა პალერმოს ბატონი ლეოლუკა ორლანდო, ხოლო თბილისს ბატონი ირაკლი ანდრიაძე თავკაცობდა. სწორედ მაშინ, 1987 წლის შემოდგომაზე, გაფორმდა და ოფიციალურად მოეწერა ხელი ამ ქალაქებს შორის ხელშეკრულებას.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც პალერმოს მერად კვლავ აირჩიეს იტალიაში ახლა საკმაოდ ცნობილი, პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე ბატონი ლეოლუკა ორლანდო. კვლავ გამოცოცხლდა ურთიერთობა თბილისთან, საქართველოსთან. ამის შესანიშნავი დასტურია ამ ზაფხულს აფხაზეთიდან ლტოლვილი 115 ბავშვის სამი თვით პალერმოში მიწვევა, მთელი ქალაქის მოსახლეობის, უწინარესად კი, თვით ბატონი ორლანდოს საოცარი ზრუნვა და ყურადღება პატარა ქართველებისადმი.

ბატონი ორლანდო არც თავის ძველ კოლეგას და მეგობარს, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პარლამენტის წევრს ბატონ ირაკლი ანდრიაძეს ივიწყებს და სიამოვნებით იგონებს იმ დღეებს, როცა მათ პალერმოში ერთად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას ორი უძველესი ქალაქის დაძმობილების თაობაზე.

მისი პირადი წერილი, ახლახან რომ მიიღო ბატონმა ირაკლიმ, იმდენად თბილი, ლაღი და ორიგინალური მეჩვენა, რომ საჭიროდ ჩავთვალე გაზეთის მკითხველისათვის მისი გაცნობა.

ვახტანგ ესვანჯია,
საზოგადოება „საქართველო-იტალიის" პრეზიდენტი.

• • •

სურათზე: ირაკლი ანდრიაძე და ლეოლუკა ორლანდო.
ქ. პალერმო, 1987 წ.

მოვლენის შემდეგ

შეხვედრა გერმანიაში... ქართველ მუსიკოსებთან

საზოგადოებრიობამ იცის, რომ თვალსაჩინო ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი გერმანიაში კონტრაქტით იმყოფება. მიუნხენთან ახლოს ქალაქ ინგოლშტადტში, სადაც ქართველი მუსიკოსები ცხოვრობენ, ქალბატონ ლიანას ხელმძღვანელობით დაარსდა გამოჩენილი მუსიკოსის დავით ოისტრახის სახელობის მუსიკალური აკადემია. სასწავლებელში სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა გარდა ქართველი სტუდენტებიც სწავლობენ. ახლახან გაიმართა ამ აკადემიის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ამ მიზნით ინგოლშტადტს ეწვია ქართული კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, მისი მოადგილე რეზო ამაშუკელი, კრიტიკოსი კოკა იმედაშვილი და თბილისის კონსერვატორიის რექტორი ნოდარ გაბუნია.

— ჩვენს გარდა, — გვიამბობს დავით მაღრაძე, — საზეიმო ცერემონიალზე მოწვეული იყვნენ ცნობილი რუსი შემსრულებლები შოსტაკოვიჩის სახელობის კვარტეტი და მევიოლინე ოლეგ კრისა, მოვიდნენ აგრეთვე ბავარიის კულტურის მინისტრი, ქალაქის ობერ-ბურგომისტრი პეტერ შნელი და საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი. აკადემიის გახსნას მე და ობერბურგომისტრი მივესალმეთ. შემდეგ გერმანულ ენაზე წაიკითხეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის მისასალმებელი წერილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებრიობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დელეგაციის წევრებმა სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით მუსიკოსებს და გერმანულ ფირმა „აუდის", რომელიც დიდად ეხმარება ჩვენს ორკესტრს. საზეიმო კონცერტში მოწვეული მუსიკოსების გარდა, ცხადია, მონაწილეობდნენ თვით ქალბატონი ლიანა და მისი მოწაფეები.

მეორე დღეს აღინიშნა საქართველოს დღე. პიტერ შნელმა ქართული დელეგაცია თავის რეზიდენციაში მიგვიღო. ამ დღეს გერმანელებმა იგემეს ქართველ მზარეულთა ნახელავი. საქართველოს კამერული ორკესტრი კი ქალაქის ღია მოედანზე უკრავდა.

უდავოდ სასიხარულო ფაქტია, რომ ქართველი მუსიკოსები ევროპის ცენტრში აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას მისდევენ და წარმოაჩენენ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას, მაგრამ ისინი ქართულმა საზოგადოებრიობამაც მონატრა. როგორც ქალბატონმა ლიანამ ბრძანა, ორკესტრი ფიქრობს ახლო მომავალში საქართველოშიც გამართოს კონცერტები.

• • •

სურათზე: მუსიკალური აკადემიის გახსნაზე. ქალაქის ობერბურგომისტრი პეტერ შნელი, ლიანა ისაკაძე და დავით მაღრაძე (მარჯვნივ).

ახალი წიგნები

საჭირო ნაშრომი

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური ლიტერატურის არსებობას, რითაც არც ისე მდიდარი ვართ. ამიტომაც დღეს ჩვენთვის აუცილებელია დასავლური ეკონომიკური ლიტერატურის თარგმნა-გამოცემა, რათა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებზე გაზრდილებს წარმოდგენა შეგვექმნას პრაგმატულ ეკონომიკაზე და ეკონომიკის კარდინალური საკითხები ცივილიზებულ მსოფლიოში აპრობირებულ თეორიებსა და პოსტულატებზე დაყრდნობით გადავჭრათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლაც ქების ღირსია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრის (გამგე — პროფესორი ქ. ღურწკაია) შესანიშნავი წამოწყება. მისი ინიციატივით ითარგმნა და საქპროფგამმა ქართულად გამოსცა ეკონომიკის თეორიის საკვანძო პრობლემებისადმი მიძღვნილი, ამერიკელი პროფესორების, კ. რ. მაკკონელისა და ს. ლ. ბრიუს მსოფლიოში აღიარებული ნაშრომი, „ეკონომიკსი", წიგნის თარგმანში მონაწილეობდნენ: პროფესორები ქ. ღურწკაია, გ. გოშაძე, ო. მაღლაფერიძე, თ. დემეტრაშვილი, უფროსი მასწავლებელი ნ. ჩიქვილაძე. პირველი ორი ტომის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან პროფესორები ქ. ღურწკაია და რ. გოგოხია.

„ეკონომიკსი" მართლაც უნიკალური სახელმძღვანელოა და მისი ქართულ ენაზე გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი უდავოდ დიდი საჩუქარია საბაზრო ეკონომიკის საკვანძო საკითხებით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის, განსაკუთრებით ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, და არა მხოლოდ მათთვის.

„ეკონომიკსში" მკითხველი იპოვის პასუხს ეკონომიკის თეორიის თითქმის ყველა საკვანძო პრობლემაზე. მასში ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოცემულია დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების უაღრესად რთული პროცესების ამომწურავი ახსნა.

წიგნი შესანიშნავად არის თარგმნილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. იგი გამოდის ოთხ ტომად. პირველი ორი ტომი, როგორც აღვნიშნეთ, უკვე გამოვიდა, დანარჩენ ორ ტომზე მუშაობა გრძელდება და უახლოეს ხანში მასაც მიიღებს დაინტერესებული მკითხველი.

რევაზ გველესიანი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩოგბანი

სამტრედიელთა აღზევება

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურიდან გადმოტანილი მატჩი თბილისში „დინამოსა" და „სამტრედიას" შორის გულშემატკივრებს საქართველოს ნაკრების წინასაბულგარეთო გენერალურ რეპეტიციად მიაჩნდათ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მთავარი გუნდის საბაზო კლუბმა ჯეროვანი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. სტუმართა შესახებ კი შეგვიძლია განვაცხადოთ: ახალი მთავარი მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას ხელწერა უკვე შესამჩნევია. შეხვედრის შინაარსიდან გამომდინარე, სამტრედიელებმა დამსახურებული, ლოგიკური გამარჯვება მოიპოვეს — 2:1 და დინამოელებთან ერთად 16-16 ქულით სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს.

მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	5	1	1	32-10	16
„სამტრედია"	5	1	1	20-7	16
„ბათუმი"	5	0	2	19-9	15
„მეტალურგი"	4	1	2	10-4	13
„ტორპედო"	4	1	2	9-8	13
„კოლხეთი"	4	0	3	14-9	12
„გურია"	3	2	2	14-14	11
„მევარდენი"	3	2	2	14-11	11
„დილა"	3	1	3	5-7	10
„ზუგდიდი"	2	2	3	14-13	8
„კახეთი"	2	2	3	5-12	8
„მარგვეთი"	2	2	3	4-12	8
„ივერია"	2	1	4	7-9	7
„დურუჯი"	2	0	5	9-24	6
„საპონელა"	1	1	5	6-18	4
„სამგურალი"	0	1	6	5-20	1

კორცხელ-ნაცატუს კვანძის გახსნა

გოგი კალანდიას, ჯამბულ თოლორდავას, ჯემალ გელანტიასა და რეზო ხარჩილავას მკვლელობის ქრონიკა

ამ დღეებში წალენჯიხიდან დაბრუნდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ჯგუფი. კმაყოფილებით გაუწყებთ, რომ წალენჯიხის პოლიციის უფროსის გოგი კალანდიასა და მისი სამი თანამგზავრის მკვლელობის საქმე გახსნილია. ამჟამად, მხოლოდ ერთი — მკვლელობის ორგანიზატორია მიმალული. გვპირდებიან, რომ უახლოეს ხანში მასაც მიაკვლევენ.

კარგ გუნებაზეა ოპერატიული ჯგუფის თავკაცი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი **უშანგ მეღლაძე.** მას, მართალია, არა ერთი უფრო რთული მკვლელობაც გაუხსნია, მაგრამ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება განსაკუთრებით ახარებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დახოცილები, მისი კოლეგები არიან, მეორეც, რაიონში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებები გაუხსნელ დანაშაულს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ — ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და ათასგვარ კერძო ვერსიას აცხობდნენ.

პოლკოვნიკი მოგვითხრობს:

— 16 მაისია, ღამის 11 საათი და 10 წუთი... ზუგდიდი-წალენჯიხის მიმართულებით ავტომანქანა „ტოიოტა" მოძრაობს. ის აქაური მკვიდრის, კოოპერატივ „ცისარტყელას" თავმჯდომარის რეზო ხარჩილავას საკუთრებაა. საჭეს წალენჯიხის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გოგი კალანდია უზის. თავად ხარჩილავა გვერდით, უკან კი — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ჯამბულ თოლორდავა და პოლიციის სერჟანტი ჯემალ გელანტია სხედან. ცოტაც და, დაუდგენელმა პირებმა მარჯვენა მხრიდან ავტომანქანას გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნეს. ოთხივე მგზავრი ადგილზე დაიღუპა...

სახელმწიფოს მეთაურისა და შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სპეციალური ოპერატიული ჯგუფი პოლიციის პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის ხელმძღვანელობით, მეორე დღესვე გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე. როგორც წესი, საქმე რესპუბლიკის პროკურატურამ მიიღო გამოსაძიებლად. ამ საქმიანობას პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი რეზო ზარანდია ჩაუდგა სათავეში. ფართო და საინტერესო მუშაობა გაჩაღდა. არც მეტი, არც ნაკლები, მკვლელობის რვა ვერსია წარმოადგინეს, სხვადასხვა ღონისძიება განახორციელეს. ამის მიუხედავად, საქმე ძნელად მიიწევდა წინ, დანაშაული არ იხსნებოდა. რაიონში ნელნელა მწვავდებოდა პოლიტიკური ვითარება. 14, 15, 16 აგვისტო ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების მომეტებული ვნებათაღელვითა და ექსცესითაც კი აღინიშნა.

სამძებროს ინსპექტორებთან, ჯემალ ზოიძესა და დავით არონიასთან ერთად, პირველად სწორედ მაშინ გავემგზავრე წალენჯიხაში. ახლოს გავეცანით შექმნილ ვითარებას, ოპერატიულ და საგამოძიებო მასალებს, შემთხვევის ადგილს, მკვლელობის გარემოებებს. ამის შემდეგ თბილისში დავბრუნდი. გამოძიება გრძელდებოდა. დამატებითი ოპერატიული ინფორმაციის მოსაპოვებლად დავით არონია და ალექსანდრე წაქაძე კვლავ მივავლინეთ ზუგდიდ-წალენჯიხა-ჩხოროწყუს რეგიონში. ყოველდღიურად ვესაუბრებოდით ტელეფონით. 8 სექტემბერს, როცა დავრწმუნდი, რომ საკმაო ინფორმაცია დაგროვდა, მე და ზოიძე სამეგრელოში გავემგზავრეთ. იმ საღამოს გავაანალიზეთ ყველა მასალა და გადავწყვიტეთ, რომ მეორე დღესვე შევდგომოდით ოპერატიული ინფორმაციის სარეალიზაციო სამუშაოებს.

9 სექტემბერი, 17 საათი და 15 წუთი. ჩვენმა სპეცჯგუფმა, წალენჯიხა-ზუგდიდის პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლებთან ერთად, სოფელ ოდიში პირველი ოპერაცია განახორციელა. თავის ბინაზე დავაკავეთ გურგენ (მეტსახელად — „სანჩო") მალანია, შემდეგ — გაბრიელ ბენდელიანი და ზვიად შეროზია.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

დაპატიმრებულთა ჩვენებები კარგად წარმოაჩენს ბარბაროსული **მკვლელობის მოტივს:** იანვარ-თებერვალში, სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიიყვანეს კაცი, რომელმაც ამხილა, რომ ერთ-ერთი არაკანონიერი სამხედრო ფორმირების მეთაურმა თავისი ხელით 4 კაცი დახვრიტა. ახლა, 7 აპრილიდან, ეს „მეთაური"(გვარს შეგნებულად არ ვასახელებ — **ზ. მ.**) მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელის ხელში ჩაგდების სამზადისს იწყებს, რათა შემდგომ თავისი ავკაცობის გამცემში (ამ მიყვანილ კაცში) გაცვალოს და პასუხისმგებლობა აიცილოს. მძევლობის სავარაუდო ობიექტად მას წალენჯიხის რაიონის გამგებელი ან პოლიციის შეფი ესახებოდა. 8-9 მაისს, ოპერაცია „მძევლის" დამამთავრებელი სტადია დაიწყო.

15 მაისს, ოპერაციის ორგანიზატორმა, პირობითად— X-მა გზის ორივე მხარეს თავისი ხალხი ჩაასაფრა. მთელი დღე ელოდნენ მსხვერპლს; თავად მეთაური ვერ ისვენებდა, ერთი საათით გაქრებოდა სადღაც, შემდეგ გამოჩნდებოდა.

აი, საბედისწერო წამიც, „X" გზის თავში დგას. ავტომანქანა უკვე შემოდის განსაკუთრებული საფრთხის ზონაში. „X"-ის გამაფრთხილებელ გასროლას მანქანიდან სროლით უპასუხებენ. ამის შემდეგ „მეთაურის" განკარგულება ისმის: — **„რაღას უყურებთ! ესროლეთ!"** 2-3 მეტრის მანძილიდან იწყებენ ინტენსიურ სროლას და ოთხივეს ადგილზე კლავენ.

დამატებითი ღონისძიებების შედეგად, კიდევ სამი პიროვნება დავაკავეთ. ერთი მათგანი მურთაზ (მეტსახელად— — „ლენინა") გულუაა.

სხვათა შორის, 1993 წლის 24 ნოემბერს, დაახლოებით იქვე, მალანია და ბენდელიანი ამავე „ტოიოტას" დაესხნენ თავს. მაშინ წალენჯიხელი ქალი გული ფიფია მოკლეს.

გაბრიელ ბენდელიანმა აღიარა: „მივედით სოფელ ნაცატუში. სახლი ორსართულიანი იყო. 7-8 კაცი დაგვხვდა. „X"-მა გვკითხა, ზვიადისტები ხომ იყავით, სად წაიღეთ იარაღიო. დაგვეკარგაო, მივუგეთ. ხალხი უნდა ავიყვანოთ ტყვედ და ბრძოლა გავაგრძელოთო, გვითხრა მან. დაგვირიგა ავტომატები და უმანქანოდ, ფეხით, წალენჯიხის გზაზე გავედით. ერთ მხარეს პატარა ნაკადულია. „მეთაურმა" წალენჯიხის მხარეს დაიკავა პოზიცია, ჩვენც გზის ორივე მხარეს განვლაგდით. სულ 4-6 წუთს გაგრძელდა სროლა. ბოლოს „მეთაურმა" დაიყვირა. „ОТХОДИМ" და ჩვენც გავშორდით იქაურობას.

საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში ბევრად უნდა ვუმადლოდეთ წალენჯიხის გამგებელს დავით ქანთარიას. ვერცხლისწყალივით კაცია, საქმიანი, სულ გვერდში გვედგა.

„ბევრი მოდის ჩემთან და მთხოვს, სხვადასხვა სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბების ნებართვა მივცე. მაგათ უცხონდეთ ბაბუა. მე ერთადერთი შეიარაღებული ფორმირება მყავს — ეს ჩემი პოლიციაა", — მითხრა გამგებელმა.

სამეგრელოს რეგიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებში ბევრი კარგი, თავდადებული პოლიციელია. მათთან მუშაობა სიამოვნებაა. ჩვენს საქმიანობაში შესანიშნავად აგვიბეს მხარი წალენჯიხის ახალმა პოლიციის უფროსმა გივი კვარაცხელიამ, სოხუმის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილემ ბორის კვარაცხელიამ, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ რობერტ ჩიქობავამ, სამძებროს უფროსმა სერგო ჩაჩიბაიამ, მისმა მოადგილემ როზმარ გოგენიამ, ინსპექტორმა დავით კვიტატიანმა, სახელმწიფო უშიშროების ზუგდიდის განყოფილების უფროსმა თემურ გაბუნიამ, ამ განყოფილების თანამშრომელმა გოგი ნაჭყებიამ და სხვებმა.

ახლა გვაინტერესებს სად იმალება „X"?

გპირდებით, მის გზა-კვალსაც მივაკვლევთ...

ეპილოგი

ბოლო ხანს გავიგეთ, რომ დავით კვიტატიანი დაჭრეს. საბედნიეროდ, ყოჩაღი პოლიციელი ცოცხალია.

პოლიცია „X"-ის ადგილსამყოფელს ეძებს.

ზაურ მაქარაძე.

ყურადღება!!!

8 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ჯონ ლენონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

მონაწილეობენ:

„ბიტლომანიის" მსოფლიო ფესტივალების მრავალგზის გამარჯვებული ვალერი კოჩაროვი და როკ ჯგუფი „ბლიცი", ნუგზარ კვაშალი და მთელი თბილისი

ბილეთები იყიდება ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში და მთელ თბილისში.

იჩქარეთ! დარბაზი ყველას ვერ დაიტევს.

დასაწყისი 17 საათზე.

უებარი მკურნალი

საქართველოში ხალხური მედიცინის განვითარებას უძველესი ტრადიციები აქვს. შემთხვევითი არ გახლავთ ისიც, რომ სიტყვა „მედიცინის" ეტიმოლოგია, წარმოშობა ქართველი ქალის, კოლხი მედეას სახელს უკავშირდება. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებიც ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ დახვეწილი და განვითარებული ყოფილა ჩვენში სამედიცინო ხელოვნება.

ეს ტრადიციები და გამოცდილება ახლა თანამედროვე მეცნიერებამ თითქმის დაჩრდილა, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სახალხო მკურნალების მიერ ბუნებრივი პროდუქტებითა და ბალახეულობით დამზადებული წამლები დღესაც სასწაულებს ახდენს და ისეთ სენსაც კი უმკლავდება, რომელთანაც თანამედროვე მედიცინა უძლურია.

ქალბატონი ეთერ ბოლაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ასეთ სასწაულს ახდენს. მისი წამლები დიდად განსხვავდება ბალახებით დამზადებული წამლებისგან და დროის მცირე მონაკვეთში სასურველ შედეგს იძლევა. ეს რომ ასეა, ამას პაციენტებიც ადასტურებენ.

დავით ქანტურიშვილი მშენებელი ინჟინერია. 1989 წლის 9 აპრილის ავბედით ღამეს უმწეო ქალების გამოსახსნელად შიშველი ხელებით იბრძოდა, მძიმედაც მოიწამლა.

— ძალიან მძიმედ ვიყავი დაავადებული, — ამბობს ბატონი დავითი. — ისე დავსუსტდი, სიარული მიჭირდა. სად აღარ ვიმკურნალე, მაგრამ... ჩემი გადარჩენა საეჭვო გახდა. ბოლოს ღვთის განგებით ქალბატონ ეთერთან მოვხვდი. ერთ თვეში ფეხზე დავდექი. სიცოცხლის ხალისი და იმედი დამიბრუნდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იგი კუჭისა და საერთოდ ყველა წყლულოვან დაავადებას არჩენს. ასეთი შემთხვევის მოწმეც გავხდი. ერთი სანდომიანი მანდილოსანი, რომელსაც სწორი ნაწლავის წყლული სტანჯავდა, მოსკოვში ხანგრძლივი უშედეგო მკურნალობის შემდეგ ეთერ ბოლაშვილთან მოვიდა. თვენახევარში წყლული მოუშუშდა.

ქალბატონ ეთერს — ამას, ალბათ, ვერასდროს გადავუხდი, — ამბობს ეკა სურამელაშვილი. — დიდი ხნის განმავლობაში საშვილოსნოს ენდომეტრიოზი (გარსის ანთება) და მიომური კვანძები მაწუხებდა. მისი წამლების მიღების შემდეგ შესანიშნავი შედეგი მივიღე.

თამარ ბიძინაშვილს საშინელი სენი, საშვილოსნოს სიმსივნე დაემართა. ექიმებმა ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. არ დათანხმდა და ბედი ეთერ ბოლაშვილს მიანდო და უკვე თვენახევარში შესანიშნავად გრძნობდა თავს. — ჩემს ექიმს, რომელიც საავადმყოფოში მმკურნალობდა, — ამბობს თამარი, — ცოცხალი აღარ ვეგონე, როცა გამსინჯა, გაოცდა. არ სჯეროდა, რომ მე ის ვიყავი, ვისაც ამდენ ხანს უშედეგოდ მკურნალობდა. არ არსებობს მადლიერების სიტყვები, რომელიც მას დღეს შეიძლება ვუთხრა. სიცოცხლე ყველაზე დიდი განძია, მან ის შემინარჩუნა.

ქალბატონ ეთერს უცხოეთიდანაც უგზავნიან სამადლობელ წერილებს. ისრაელში მცხოვრები მიხეილ გორელაშვილი იწერება: „თქვენ მხსნელად მომევლინეთ, სიკვდილისგან მიხსენით. ჩვენთან, ჩემს ახლობლებში, ნაცნობ-მეგობრებში დიდი პოპულარობით სარგებლობთ, თქვენთან მოხვედრას ნატრობენ, მაგრამ მანძილი უშლით ხელს"...

აქვე აღვნიშნავთ: იგი ბინაში იღებს ავადმყოფებს, ჩაწერით შაბათ-კვირის გარდა.

მისამართი: ცოტნე დადიანის პროსპექტი,
მეორე მიკრორაიონი, II კორპუსი,
V სადარბაზო, V სართული, ოთახი 102.
ტელეფონი: 66-17-37.

ორშაბათს, 10 ოქტომბერს, 14 საათზე, პადრაკის სასახლეში გაიმართება საზოგადოება „არჩევნების" I ყრილობა.

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეთა სიას, რომლებმაც იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ:

1. **მარიამ ნიკოლოზის ასული ბომიანცი,** დაბადებული 1929 წელს, ქ. რიგაში, მცხ. ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მე-5 მ/რ, კორპ. 13, ბ. 45.
2. **ელიზავეტა ნიკიტას ასული ფედოსეევა,** დაბადებული 1920 წელს, ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი 70 კორპ. ბინა 3.
3. **ნადეჟდა ვასილის ასული ლუტ,** დაბადებული 1924 წელს, ქიტომირის ოლქში, მცხ. ქ. თბილისში, მე-3 მასივი, 1-ლი კვარტალი, კორპ. 3, ბ. 24.
4. **გრიგორი დიმიტრის ძე ლუტ,** დაბადებული 1926 წელს, პოლტავას ოლქში, მცხ. ქ. თბილისი, მე-3 მასივი, 1-ლი კვარტალი, კორპ. 3, ბ. 24.
5. **ოლღა ივანეს ასული ქარცივაძე,** დაბადებული 1944 წელს, უკრაინაში, სოფ. კორჩაკოვკაში, მცხ. ქ. თბილისი, კერესელიძის ქ. 18/9.
6. **ნინა გიორგის ასული მეფარიშვილი,** დაბადებული 1951 წელს, მახარაძის რაიონის სოფ. ბახვი, მცხ. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. 10.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებები ან შეუსრულებელი ვალდებულებები, ვთხოვთ გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულება, სასამართლო გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელი და სხვა.

მისამართი: 380048, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო. ტელეფონები: 99-87-98, 99-05-28, 99-08-44.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1995 წლის I ნახევრისათვის რუსეთის ფედერაციისა და ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცემებზე.

ხელმოწერა ჩატარდება 6 თვით, მხოლოდ რუსული მანეთებით, 1994 წლის 5 ნოემბრამდე.

კავშირგაბმულობის სამინისტრო.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 5 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა **პავლე გილაშვილის** ნეკროლოგი. ხელმომწერთა შორის ტექნიკური მიზეზით გამოტოვებულია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ქალბატონი **რუსუდან ბერიძე.**

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რუსია